შაბათი 1919 წ. თებერვლის 22 № 41
წელიწადი მეხუთე

შაბათი 1919 წ. თებერვლის 22 № 41
ფასი თბილისში პროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს“ რედაქციის ფონდი. დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას.

გულდამწვარნი ნინო (ცაციკო) პეტრეს ასული და იოსებ ნიკოლოზის ძე პანოვები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ გარდაიცვალა ქალაქ სოხუმში მათი საყვარელი და ძვირფასი პირველისა დისა და მეორისა სიძის თბილისის პოლიტეხნიკუმის სტუდენტი

ანდრო ფარადაშვილი

წირვა და პანაშვიდი კვირას 23 თებერვალს პატარა წმიდა გიორგის ეკლესიაში ანჩისხატის ქ. წირვა დაიწყება 11 საათზე.
(1—2140—1)

დავით და შალვა მიხეილის ძენი ტატიშვილები მეუღლეთურთ, გიორგი მიხეილის ძე ტატიშვილი და ნინო მიხეილის ასული მახვილაძისა ქმრით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 9 თებერვალს ახალციხის ფრონტზედ გმირულად დაიღუპა მათი დაუვიწყარი ბიძაშვილი მე-6-ე პოლკის ოფიცერი კაპიტანი

ვლადიმერ ილიას ძე ტატიშვილი.

შაბათს 22-ს ამა თებერვალს განსვენებულის სულის მოსახსენებლად ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. (1—2141—1)

ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში კვირას, თებერვლის 23-ს (ახალი სტილით), ნაშუადღევის 1 საათზედ გარდახდილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი განსვენებულის ს. ბოდბის სვეტისცხოვლის ეკლესიის წინამძღვრის დეკანოზის

ივანე კაიხოსროს ძე ბალარჯიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ შვილი ექიმი ალექსი ივანეს ძე ბალარჯიშვილი მეუღლით და შვილებით.

კოოპერატორებო და
ერობის მოღვაწენო!

ხალხში ახლა აუარებელი ფული უსარგებლოთ არის თავმოყრილი. შეიძინეთ და გაავრცელეთ საზოგადოებაში საქართველოს ხაზინის

5 პროც. ვალდებულებანი

ამით თქვენ დიდ სამსახურს გაუწევთ რესპუბლიკის ხაზინას და იმ პირთაც, რომელთაც ვერ უპოვნიათ საშვალება ფულის საიმედოთ და სარგებლით დასაბინავებლად. 3—15—2

მოიკითხეთ ყველგან
ღვინო
ჩაჩიბაიასი
(8—2087—5)

ნატურალური ღვინო
კატერინენფელდის ახალშენიდან სუფთა და წმინდა. იაფად იყიდება სავაჭრო
„ეკატერინენფელდში“
რეუტოვის ქუჩა, № 13. 3—2119—3

საყველივროთ აპელსინები საყველივროთ
(რიზედან), რჩეული ჯიშის, (იავა) ჰიგანტი, ეკსტრა, № 1 № 2.
30 მანეთიდან 12 მანეთამდე ათეული
ბათომის ფასებზე 50 პროც. დაწეული და თბილისის ბაზრისაზე 100 პროც. იაფი. ვაჭრობა საჯაროდ ნარდათ და წვრილად. მიხეილის პრ. „კინო-პალასის“ გვერდით.
3--2114—3

მკითხავი
ცნობილი ფსიხო-გრაფოლოგი
ალექსი ალექსანდრეს ძე საბლერი
უშეცდომოდ იგებს: ბანქოს ქაღალდზე, ხელის ნაოჭებზე, წერილით და ფოტოგრაფიულ სურათით წარსულს, აწმყოს და მერმისს. სასყიდელი შეთანხმებით. იღებს 10—2 და საღ. 3—5 ს. გუნიბის ქუჩა (მოსკოვის ქუჩის ზემოდ მეორე ქუჩა) გუნიბის შესახვევი № 1. უკანასკნელი საერთო შესავალი კარები. ბინა 7. 2—2133—2

მოქალაქენო!
შეიძინეთ საქართველოს ხაზინის 5 პროც. ვალდებულებანი ამით თქვენ გააძლიერებთ სახელმწიფო ფინანსებს და თავისუფალ ფულსაც სარგებლით და საიმედოთ დააბინავებთ. ვალდებულების შეძენა შეიძლება ყველა ხაზინებში და საკრედიტო დაწესებულებებში.
3—15—2

ეროვნული დროშები!
ეროვნული დროშები
სხვა და სხვა ზომისა, მასალისა და ფასისა იყიდება:
კულტურისა და შრომის კავშირის შტემპელების ქარხანაში
ნიკოლოზის ხიდი (ვორონცოვის ძეგლის აქეთ), № 21.
ეროვნული დროშები ორიგინალ ტარებით სახლების, მაღაზიების და დაწესებულებათა შესამკობად.
მცირე დროშები ავტომობილებისათვის, საბავშვო სეირნობისათვის და სხვა.
ფასები, მასალის არსებულ სიძვირესთან შედარებით, დაკლებული და ხელმისაწვდომი.
შეღებილ ნარმის დროშები 5 მან-დან,
აბრეშუმისა 12 მან-დინ.
სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათ ფასდაკლებით.
ქართველებო! შეიძინეთ ეროვნული დროშები!!
1—16—1
ეროვნული დროშები!

კვირას, თებერვლის 23, სამეურნეო ბანკში (სასახლის ქ. № 6), საღამოს 4 საათზე შესდგება

ეროვნულ-დემოკრატ ახალგაზრდების შეერთებული კრება.

ახალი გრანდიოზული
ცირკი როავიც ცირკი
(მიხეილის პროსპ. ეფიმოვების ყოფილ შენობაში)
დღეს, 22 თებერვალს, საგასტროლო წარმოდგენა
გამოსვლა საქვეყნო ჩემპიონის და ატლეტის
სანდაროვისა
სანდაროვის თავზე დაამტვრევენ დიდ ჩაქუჩებით 5 ფუთიან ქვებს, აგრეთვე აგურებს და სველ ფიცარს გვერდზე მხრებზე და თავზე დაიცემს ორი არშინის სიმაღლიდან ორ ფუთიან გირებს.
გასტროლი განთქმული მსახიობის ბუტირკინის, ცნობილი ვირტუოზების გარმონის დამკვრელთა ძმ. დონატელო. გამოსვლა ცხენოსან ქალების მ-ს დროლი-ლორიანის და უშიშარი სტროვაის. გამოსვლ მუსიკით ტიკი-მასხარების ძმ. იუნაშების და მასხარა ვინჩენცოსი გამოსვლა—კუპლეტების ავტორი კინტოსი გიორგი მესტიაშვილის.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისორი კ. იონაში.
ადმინისტრატორი ს. სანდაროვი. გამგე ა. ეფიმოვი.
1—1

ქართული კლუბი
კვირას თებერვლის 23
ჟურნ. „თეატრი და ცხოვრების“ სასარგებლოდ გამართება
დიდი სალიტერატურო სამხატვრო საღამო
სიტყვა—„საქართველო-სომხეთის ტრაგედია და ხელოვნება“, იოსებ იმედაშვილისა (ბრძოლის ველზე განცდილი შთაბეჭდილებანი; 2) პოეზია—გრიშაშვილი ი. ტაბიძე გალაკტიონ; 3) მუსიკა ბახუტაშვილი-შულგინას, კალანდაძე-აგასოვის, ვანო სარაჯიშვილის, ივ. ინაშვილის და ს. ლორთქიფანიძის მონაწილეობით. შეასრულებენ ქართ. კომპოზიტორთ არაყიშვილის, ბალანჩივაძის, გოგნიაშვილის, ჯაბადრის, ფოცხვერაშვილის და სხ. ნაწარმოებთ. 4) იუმორისტიკა—ქართ. მსახიობთა მონაწილეობით; 5) ქართული ბალეტი—ბალეტმეისტერი ალბერტისა და ელო ანდრონიკაშვილის მონაწილეობით: საზანდარი—სანდროს ლოტბარობით. ბუფეტი, პტიშვო და სხ. გასართობები. როიალთან ქ-ნი ნემეტის ასული.
დასაწყისი საღ. 7 ს. გაგრძელდება ღამის 3 ს-დე. ბილეთები იყიდება ქართულ კლუბის კასაში.
2—17 1 საღამოს დიასახლისი ე. ხ. ბენდუქიძისა.

სახელმწიფო თეატრი
საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა
შაბათს, 22 თებერვალს, ისეცკის ბენეფისი.
ალეშკოს, კანშინას მონაწილეობით
ურიის ქალი (ჟიდოვკა)
კვირას, 23 თებერვალს, დილით მ. მოლჩანოვის ბენეფისი—„სნეგუროჩკა“. საღამოთი ა. დემიანენკოს ბენეფისი საბანეევას, ზალიპსკის, პოლიაევის, ნიკოლსკის, დემიანენკოს და სხ. მონაწილეობით „სევილიელი დალაქი“

რ. წითელ ჯვრის საოლქო მმართველობის
სამკურნალო
ნერვიულ და სულიერად ავადმყოფთათვის, ალკოგოლიკების და ნარკომანებისთვის. ცნობებისთვის მიჰმართეთ. სამკურნალოს (ორთაჭალა ელბრუსის ქ. № 27. ტელ. 82.) ან დირექტორს ა. პრუსემკოს მისამართით: ანასტასიას ქ. № 7, ტელეფონი 4—36.
(12—1102—4)

კინემო მინიონი
გოლოვინის და ბარიათინის კუთხე.
დღეს ჩვენს ეკრანზე
„ბუხართან“
მონაწილეობენ:
ვ. ხოლოდნაია
რუნიჩი
მაქსიმოვი
სურათში:
„დაივიწყე ბუხარი, მასში ცეცხლი ჩაიფერფლა“.
დრამა 6 მოქ.
სეანსის დასაწყისი 4 ნახ. ს.
12—3

ჯარის საკითხი

გაზეთებში ცნობა იყო, რომ სამხედრო მინისტრმა ახალციხის ფრონტის დათვალიერებისა და საქმის ვითარების გაცნობის შემდეგ რავდენიმე აფიცერი სამსახურიდან დაითხოვა, ხოლო რავდენიმე სამართალში მისცა. ეს ცნობა უეჭველად ერთგვარ დაკმაყოფილების გრძნობას გამოიწვევს ქართულ საზოგადოებაში, რომელიც დიდათ შეშფოთებული და დაღონებული იყო ახალციხის მარცხის გამო. სასამართლო პირუთვნელად გამოიკვლევს რა ბრალი მიუძღვის ამა თუ იმ სარდალს ჩვენი ჯარის უკან დახევაში.

მაგრამ, როგორც ცნობილია, პირად და იურიდიულ პასუხისმგებლობის გარდა არსებობს სოციალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობა და გამოტეხით უნდა ითქვას, რომ ჯარის საქმეში ამ პასუხისმგებლობას იზიარებს ყოველი ჩვენგანი, ვინც ასე თუ ისე რაიმე როლს ასრულებს რესპუბლიკის აღმშენებლობაში.

ყოველი დიდი ეპოქა ჰქმნის მილიტარული ძალის თავისებურ სისტემას. ის, რაც რომის იმპერიაში გამოდგებოდა, უვარგისი იყო საშუალო საუკუნეებში და რაც საშუალო საუკუნეებმა შეჰქმნა სრულიად მიუღებელია ახალი დროისთვის. მაგრამ ადამიანური აზროვნების ინერტობა და კონსერვატორობა არსად არ არის ისე ძლიერი, როგორც სამხედრო ძალისა და შეიარაღების საკითხში. საჭირო იყო, რომ დიდი რევოლიუციისა და ნაპოლეონის მიერ შექმნილ ფრონტის ჯარს მიელეწ მოელეწა ძველი ევროპის გაერთიანებული მხედრობა, რომ დანარჩენი სახელმწიფოებიც რეკრუტის სისტემაზე გადასულიყვნენ. ამის შემდეგ ჯარის წესწყობილება არსებითად აღარ შეცვლილა.

დღეს ჩვენ განვიცდით სოციალურ გარდაქმნის პროცესს, რომელიც უეჭველად უფრო ფართო და დიდმნიშვნელოვანია ვიდრე საფრანგეთის რევოლუცია. თავისთავად ცხადია, რომ ამ პროცესში სხვათა-შორის უნდა შეიქნას სამხედრო ძალის ახალი ფორმა, რომელიც შეფარდებული იქნება თანამედროვე კულტურულ ეპოქის სულთან და ის ერი, რომელიც თავის დროზე ყაზარმის რევოლუციას მოახდენს, ბრძოლის ველზე უეჭველად დაამარცხებს იმ ერებს, რომელნიც ტრადიციულ მილიტარულ ფორმებს შეინარჩუნებენ.

მაგრამ ყაზარმის რევოლუციის მოხდენა განსაკუთრებით ძნელია იმიტომ, რომ ყოველ სხვაგვარ რევოლუციის წინააღმდეგ, ის ჩვეულებრივ ზემოდან იწყება. საფრანგეთი მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ვერ შეჰქმნიდა ახალ ჯარს, მას რომ ისეთი რევოლიუციონერი სარდლები არ წარმოეშვა, როგორიც იყვნენ ჰოში, ოჟერო, მარსო, ნაპოლეონი. პირველ შეტაკებებში რევოლუციური ჯარი მარცხდებოდა და გარბოდა. საჭირო იყო დიდი ორგანიზატორული გენია, რომ რეკრუტების ბრბო საშიშ მილიტარულ მექანიზმად გადაქცეულიყო.

ნაპოლეონმა სამართლიანად სთქვა, რომ უმჯობესია ცხვრის ფარა, რომელსაც ლომები მეთაურობენ, ვიდრე ლომების ჯოგი, რომელსაც ცხვრები მეთაურობენო. ეს სიტყვები დღესაც გამოგვადგება სახელმძღვანელოდ. რასაკვირველია, იმის თქმა არ შეიძლება, რომ ქართველი აფიცერი მხდალი იყოს. პირიქით. ბრძოლის ველზე ის უფრო მართლაც ლომს ჰგავს; ამას ამტკიცებს როგორც აღწერითი საბუთები ისე სტატისტიკა: დახოცილ ქართველ აფიცერთა რიცხვი ყოველ შეტაკების დროს არაჩვეულებრივად დიდია, რაიცა მის პირად სიმამაცესა და თავგანწირულებას მოწმობს. მაგრამ თანამედროვე აფიცრის უპირველესი დანიშნულება ის კი არ არის, რომ მტერს მკერდი მიუშვიროს და თავი შეაკლას, არამედ ის, რომ ჯარისკაცი გაწვრთნას და მოამზადოს. ეს კი დღევანდელ პირობებში შეუძლებელია თუ ხელმძღვანელსა და ხელქვეითს შორის იდეათა ნათესაობა და გაცვლა გამოცვლა არ არსებობს. ამიტომ თუ გვინდა რომ ჯარისკაცი ახალი პატრიოტულ სულით გაიმსჭვალოს და დემოკრატიულ რესპუბლიკის ღირსეულ დარაჯათ იქცეს, მას ისეთი სარდალი უნდა მივსცეთ, რომელიც განთავისუფლებულია რუსული სკოლისა და რუსული ყაზარმის ტრადიციულ იდეებისაგან და ახალ დროის მოთხოვნილებებს ანგარიშს უწევს.

მაგრამ აფიცერთა კადრის განწმენდა და გახალხება, რასაკვირველია, არ კმარა ახალ ქართულ ლაშქრის შესამქნელად. საჭიროა, როგორც ვსთქვით, მთელი სისტემის გარდაქმნა. აქ არ შევუდგებით იმის განხილვას, თუ რომელ ფორმას უნდა მიეცეს უპირატესობა, მუდმივ ჯარსა თუ სახალხო გვარდიას. ვიტყვით მხოლოდ, რომ ყველაზე მავნებელი ორსისტემიანობაა. ეს გარემოება იწვევს არა მარტო გადაჭარბებულ ხარჯებს, არამედ ქიშპობასაც, რაიცა დიდათ სახიფათოა თავდაცვის საქმეში. თავის თავად ცხადია, რომ ისეთ ღარიბ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, არ შეუძლია თავისი ბიუჯეტის ნახევარი ერთ კორპუსის შენახვას მოახმაროს, როგორც ეს დღეს ხდება. მით უმეტეს, როცა ეს კორპუსი უფრო ქაღალდზე არსებობს, ვიდრე სინამდვილეში. ასე რომ ბოლოს, სამხედრო ძალის შედგენაში გადამჭრელი მნიშვნელობა ექნება როგორც იდეურ, ისე მატერიულ მოსაზრებებს.

უკანასკნელი ცნობები

საზავო კონფერენციის თავმჯდომარედ ლანსინგი იქნება. საფრანგეთის წარმომადგენლებად პიშონი და ტარდიე იქნებიან.

დრ. ზავის ჩამოგდების შემდეგ პოლონელები თავდასხმას მაინც განაგრძობენ.

ვილსონმა ამერიკის სამხედრო მინისტრს აცნობა, რომ უმაღლესი საბჭო ზომებს იღებს ჩრდილო-რუსეთში მოკავშირეთა სამხედრო მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

[illegible] და ვიზენში საერთო გაფიცვებია.

კოვნოში პოლონელებმა ებრაელები დაარბიეს.

უკრაინის ჯარის გადაჯგუფება გრძელდება.

ერთი ფრონტის ლიკვიდაცია

დიდი ბრიტანიის მთავრობამ გენერალ დენიკინს უბრძანა სოჭის ოლქიდან ჯარები გაიყვანოს.

ამ ბრძანების ძალით, სოჭის ფრონტი ამ ხანად მაინც საქართველოსთვის აღარ არსებობს. დენიკინი ამ ბრძანებას დაემორჩილება, თუ არ დაემორჩილება, ამიერიდან მას საქმე ინგლისთან ექნება. ეს არც მოულოდნელი უნდა ყოფილიყო.

თუ თავს გავანებებთ იმ იდუმალ პოლიტიკურ ზრახვების გამოცნობას, რომელიც თავის დიადობის კვალობაზე ყოველ სახელმწიფოს აქვს და რომელიც მეორისთვის ხელმიუწდომელი რჩება და თუ მხედველობაში ინგლისის ტრადიციული პოლიტიკა მივიღეთ და ის ყველასათვის თვალსაჩინო ინტერესები, რომელიც მას სპარსეთ-ინდოეთ-შუა-აზიაში აქვს, სწორის აზროვნების გზით ჩვენ აუცილებლად იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ინგლისის პოლიტიკა არ უნდა მოითხოვდეს რუსეთისათვის კვლავ გადაცემას არც საქართველოისას არც ამიერ-კავკასიის სხვა ქვეყნებისას.

ინგლისის პოლიტიკა მით უფრო ნაკლებ უნდა მოითხოვდეს ამ ქვეყნების წალეკვას და აოხრებას დაულაგებელი რუსეთის უწესო შეიარაღებულ ძალებისაგან.

ჩვენ განზრახ არ ვიხმარეთ ზოგადი ფორმულა, განზრახ არა ვსთქვით, რომ ინგლისის პოლიტიკა საერთოდ ვერ იგულისხმებდა ამ ქვეყნების სუვერენობის ხელშეხებას საკუთრივ ინგლისის ინტერესისათვის. ძალიან კარგადაც შეიძლება, რომ ასეთი განზრახვა ინგლისს გულში ედოს. ამის მიღწევა კი მას შეეძლება ორ შემთხვევაში: თუ რომ მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკაში დირიჟორის ჯოხი უდავოთ მარტო ინგლისს დაურჩა, და თუ რომ საშინაო ცხოვრებაში ჩვენ ჩვენი ეროვნული ენერგია ექსცესების პოლიტიკისაგან ვერ დავიხსენით და ევოლიუციურ-სახელმწიფოებრივ შემოქმედების კალაპოტში ვერ ჩავაგდეთ. მეორე, თუ რომ გამარჯვებული სახელმწიფონი შეთანხმდნენ გამარჯვების ნადავლის გაყოფაში და ახლად შექმნილი სუვერენული ქვეყნები ურთიერთ შორის მშვიდობიანად გაანაწილეს. ეს გარემოებები სწყვეტენ როგორც საქართველოს, ისე ამიერ-კავკასიის სხვა ქვეყნების სუვერენობის ბედს. იგივე გარემოებები გვიჩვენებენ, თუ რა გზას უნდა დაადგნენ ყველა ეს ქვეყნები თავ-თავიანთ საგარეო, საურთიერთო და საშინაო პოლიტიკაში, თუ სურთ დამოუკიდებელი ეროვნული არსებობის შენარჩუნება.

სოჭის ფრონტს რომ დავუბრუნდეთ, უმეტ-ნაკლებოდ უნდა აღვნიშნოთ ამ ფრონტის ლიკვიდაციის დიდი რეალური მნიშვნელობა. მართალია, დენიკინის უიმედო და წელში გატეხილი ჯარი, თუ მას ინგლისი ზურგს არ გაუმაგრებდა, საქართველოსთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა, მაგრამ ისიც მართალია, რომ დენიკინის სამხედრო მოქმედება ჩვენს წინააღმდეგ საქართველოს ჯარის ერთ ნაწილს მაინც ამ ჩრდილოეთში გაიხმობდა და შეაჩერებდა. ეს, რა თქმა უნდა, სამხრეთის ფრონტს დაემჩნეოდა. დღეს, ინგლისის ჩარევის გამო საქართველოს მარტო ერთი, სამხრეთის ფრონტი დარჩა და ამით მას საშუალება მიეცა მთელი თავისი სამხედრო ძალა, მთელი სტრატეგიული და დიპლომატიური გამჭრიახობა მარტოდ-მარტო ამ ერთ ფრონტზე დააგროვოს; და ეს მეტი არ იქნება, ვინაიდან სამხრეთის ფრონტი ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის თავისის მნიშვნელობით პირდაპირ საბედისწერო ფრონტია, ხოლო თავისი შინაგანი სირთულით ერთობ ძნელი გასახსნელი და გასარკვევი. აქ არის ჩაკვანძული ერთს და იმავე დროს სტრატეგიული, პოლიტიკური და ეროვნული ფრონტი. ამ ფრონტის სახელია არა ახალციხე, არამედ მთელი სამაჰმადიანო საქართველო. აქ კატეგორიულად უნდა განვაცხადოთ ჩვენი რწმენა: საქართველოს მომავალი არ უწერია, თუ რომ მას არ შერჩა მისი ორგანიული, სამაჰმადიანო ნახევარი. ამიტომაც გვჭირია ამ ფრონტზე დიდი მილიტარული სიმტკიცე და კიდევ მეტი ტაქტი.

ჩვენ ვშიშობთ, ვაი თუ ეს ჯეროვანის სიფრთხილით და სერიოზულობით არ იყოს აწონილი ჩვენს ხელმძღვანელს წრეებში, სადაც პროპაგანდისტის ტრაფარეტი უფრო მეტ პატივშია, ვიდრე სახელმწიფო კაცის შემოქმედება.

სპ. კედია.

გაფიცვა ბიჩერახოვის რაზმში

ბაქოდან უკანასკნელად მოსულ გაზეთების ცნობით ბიჩერახოვის რაზმელებს გაფიცვა გამოუცხადებიათ.

17 თებერვლის კრებაზედ, მუშათა კლუბის შენობაში, რაზმელების და განსაკუთრებით „ავტოკოლონების" საერთო კრებაზედ გამოტანილ იქმნა შემდეგი დადგენილებანი:

პირობები, რომელიც წამოყენებული იყო პრჟევალსკის მიერ კრების დადგენილებით უარყოფილ იქმნა და ამოირჩიეს კომისია, რომელიც გამოარკვევს დამქირავებელთა და მომუშავეთა პირობებს.

საერთო კრება „ავტოკოლონების", როგორც ნაწილი ბაქოს პროლეტარიატისა, პროტესტს აცხადებს მოხალისეთა არმიის ორგანიზაციის წინაშე რომელიც მიმართულია რევოლიუციის და პროლეტარიატის წინააღმდეგ.

ვიდრემდის არ გამოირკვევა მომუშავეთა ხელფასის რაოდენობა მუშაობას არავინ დაიწყებს.

განზრახულია ამ საკითხის გარდასაწყვეტად მოწვეულ იქმნას მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა კრება.

კათალიკოზის კურთხევა

კვირას 23 თებერვალს მცხეთის სვეტიცხოვლის საუფლო ტაძარში მოხდება ტფილელ მიტროპოლიტ ლეონიდეს სრულიად საქართველოს პატრიარქ კათალიკოზად ხელდასხმა. ამ დღისთვის დანიშნულია სპეციალური მატარებლები ტფილისსა და მცხეთა შუა ზეიმს დაესწრებიან საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია მინისტრები, პარლამენტის პრეზიდიუმი და წევრები, აგრედვე უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები და ელჩები. კურთხევაში მონაწილეობის მისაღებად კიდეც ჩამობრძანდნენ თბილისში მიტროპოლიტები და ეპისკოპოზები. მცხეთის ტაძარში წირვა დილის 10 ნახ. საათზედ დაიწყება,

საქართველოს პარლამენტმა სამი დღის სხდომის შემდეგ შემდეგი რეზ. გამოიტანა

მთავრობის მოხსენების გამო დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე პარლამენტი აღიარებს, რომ ბეგების და ოსმალთა ემისარების ამხედრება ახალციხის მაზრაში და მოხალისეთა ჯარის შემოსვლა სოჭის ოლქში ეს არის რეაქციის გამოლაშქრება საქართველოს დამოუკიდებლობის და დემოკრატიულ წყობილების წინააღმდეგ.

პარლამენტი დარწმუნებულია, რომ საქართველოს დემოკრატიული ჯარი და სახალხო გვარდია, რომელიც მოწოდებულია დაიცვას ჩვენი რესპუბლიკის მთლიანობა და დემოკრატიული წყობილება მტერთა შემოსვლისაგან, დღესაც გამოიჩენენ საჭირო ერთსულოვნებას და თავდადებას რესპუბლიკისა და დემოკრატიისადმი.

პარლამენტი იწონებს რა მთავრობის მოქმედებას, როგორც საგარეო, ისე საშინაო ურთიერთობის სფეროში, იმედს გამოსთქვამს, რომ მთავრობა კვლავინდებურის ენერგიით იმუშავებს ჩვენი დამოუკიდებლობის მთლიანობის დასაცველად, რომ იგი ყოველ ღონეს იხმარს, როგორც მეზობელ რესპუბლიკებთან, ისე ინგლისსა და მის მოკავშირე სახელმწიფოებთან შესათანხმებლად, და მჭიდრო კავშირის დასაჭერად.

ქრონიკა

◆ **ადერბეიჯანში წამსვლელთა საყურადღებოდ** უკანასკნელად გამოირკვა რომ იმ პირთა უმეტესობა რომელნიც ადერბეიჯანში მიდიან, არა აქვთ სათანადო ნებართვა, რაც საზღვარზე გაუგებრობას იწვევს. ამისთვის ადერბეიჯანის დიპლომატიური მისია აცხადებს, რომ საქართველოს ნებართვასთან ერთად აუცილებელია ადერბეიჯანის დიპლომატიურ მისიის ნებართვაც.

◆ **ეროვნულ-დემოკრატ. ახალგაზდების კრება.** კვირას, თებერვლის 23, სამეურნეო ბანკში (სასახლის ქ., 6) საღამოს 4 საათზე, დანიშნულია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყველა ახალგაზრდების შეერთებული საგანგებო კრება.

◆ **რედაქციის ფონდის სასარგებლოდ.** რედაქციის ფონდის სასარგებლოდ მივიღეთ **გიორგი გორდეზიანის** მიერ შეგროვილი 900 (ცხრაასი) მანეთი.

◆ **სოჭის დაცლის შესახებ.** სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან რომ სოჭის ოლქის დაცლის შესახებ ბრძანება ლონდონიდან მოსულა.

◆ **დენიკინის ტყვე ოფიცრების შესახებ** რუსთა ეროვნულ საბჭომ თხოვნით მიმართა გარეშე საქმეთა მინისტრს, ნუ იყოლიებენ სატუსაღოებში მოხალისეთა ჯართან შეტაკების დროს ტყვედ წამოყვანილ ოფიცრებს მინისტრმა აცნობა მათ რომ ყველა ტყვე რუსი ოფიცრები გაიგზავნებიან ქუთაისში და მათ მოეპყრობიან ისე როგორც სამხედრო ტყვეებს.

◆ **ქაჩაზნუნის ჩამოსვლა** 20 თებ. ერევნიდან თბილისში ჩამოვიდენ სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე კაჩაზნუნი და რამოდენიმე პარლამენტის წევრი.

◆ **გაზეთების დახურვა.** 15 თებერვალს გაბაშვილის წერილის გამო, რომელიც შეეხებოდა ინგლისელებს, ერთი კვირით დახურეს გაზეთი „სალი კლდე" ამავე წერილის გადაბეჭდვისათვის გაზეთი „ზაკავკაზსკოე სლოვო"-ც ერთი დღით შეაჩერეს.

◆ **ყარსის დაცლა.** სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ოსმალებმა საბოლოოდ გასწმინდეს ყარსის ოლქი.

◆ **მატარებლები ყარსსა გუმბრს შუა.** დიდი თოვლის გამო მატარებლების მიმოსვლა ყარსსა და გუმბრს შუა შეჩერებულია.

◆ **სურსათი სომხებისათვის.** სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე საკიანი ესაუბრა გენერალ ბიჩს რომელმაც აცნობა მას რომ ენზელიდან ბაქოში მოვიდა მთელი ხომალდი ბრინჯი. გარდა ამისა ინგლისელებს ბაშნორაშენში უყიდნიათ ხორბალი 10,000 ფ.

◆ **საღამო „იმედში"** შაბათს 22 თებერვალს სასადილო „იმედ"-ში (ძველი სემინარიის შენობა) გაიმართება მორიგი ინტიმიური საღამო პოეტების კაბარეთი. მონაწილეობენ თბილისის ცნობილი ლიტერატურული და არტისტიული ძალები. მათ შორის მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო თეატრის არტ. კანშინი და შვანბერგი.

◆ **თბილისის ვაჟთა მე-8 გიმნაზიის დირექტორი სთხოვს** ხსენებულ გიმნაზიის მოწაფეთა მშობლებს და მზრუნველებს მობრძანდნენ კვირას, 23 თებერვალს, დილის 10 საათზე გიმნაზიის დარბაზში მშობელთა წრის დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლად.

◆ **ლექცია.** შაბათს, 22 თებერ., საღამოს 5 ს., ნაძალადევის თეატრში, ექ. ნ. ტურიაშვილი წაიკითხავს განსაკუთრ. ქალებისათვის „ვენერიული სნეულებანი".

◆ **სომხები სანაინიდან.** გზათა მინისტრი აცნობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ბოლო ხანში სანაინიდან დიდძალი სომხობა მოემგზავრება თბილისში საქართველოს მთავრობისაგან სრულიად ნება დაურთველად.

◆ **კოლჩაკის დელეგაცია.** ბაქოდან პარიზში სამშვიდობო კონფერენციაზე გაემგზავრა კოლჩაკის დელეგაცია, რომელშიაც სამი პირი შედის.

◆ **ნატანების სახელმწიფო დაწესებულებათა რევიზია.** თანახმად მთავრობის დადგენილებისა, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის განკარგულებით დაინიშნა ნატანების სახელმწიფო დაწესებულებათა რევიზია. რევიზიის მოხდენა დაკისრებული აქვს ამავე სამინისტროს დირექტორს სიო დიმიტრის ძე პანტურიშვილს. თანამშრომლებად დაინიშნენ: მთავარ საბაჟოს უფროსი მიქაძე და საერთო განყოფილების უფროსი ი. ტ. პოლუმორდვინოვი. ამ კომისიაში შედიან აგრედვე თითო წარმომადგენელი კონტროლის, გზათა და სამხედრო სამინისტროებისაგან.

ადერბეიჯანში

ინგლისის ჩეკები

ბაქოში გამოვიდა საგანგებო ჩეკები (ბონები) ინგლისის საზღვაო ტრანსპორტის მიერ გამოშვებული. ბონებს საზღვაო კოოპერატივში გასავალი აქვს ისე როგორც სხვა ფულს.

ადერბეიჯანის ფული

როგორც ადერბეიჯანის ოფიციოზი იუწყება, ადერბეიჯანის მთავრობამ უფლება მისცა ფინანსთა მინისტრს ასი მილიონი მანეთის ბონები გამოსცეს. ადერბეიჯანის ბონები, თითქმის მზად არის დასაბეჭდათ. პირველ რიგში გამოიცემიან ას მანეთიან მანეთის ღირებულებანი, რომელზედაც ხელი უწერია მთავრობის თავმჯდომარეს ხან-ხოილს და ფინანსთა მინისტრს.

ადერბეიჯანის მთავრობა და მოხალისეთა მობილიზაცია

ადერბეიჯანის პარლამენტის 19 თებერვლის სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარე რიგს გარეშე განცხადებით გამოვიდა, იმ მობილიზაციის გამო, რომელსაც ბაქოში ახდენენ მოხალისეთა ჯარის აგენტები. მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უკანასკნელ დღეებში ამაღელვებელი ცნობებს აქვს ადგილი მოხალისეთა არმიის მობილიზაციის საკითხთან.

ამის გამო მთავრობა ვალდებულია განმარტოს შემდეგი:

მთავრობის მიერ მობილიზაციის ფაქტი დამტკიცებულია. გენერალ პრჟევალსკი და ცნობილი ამაზასპი ახდენენ მობილიზაციას. ჩაწერილნი არიან ბევრი სომხები, დაკავებულია ყაზარმები, ასწავლიან, ამზადებენ იარაღს და სხვ.

მთავრობამ გენერალ ტომსონს წერილით მიმართა, სადაც იგი სთხოვს ამგვარ ძალების მოქმედების შეჩერებას და ევაკუაციის მოხდენას.

ტომსონი აცნობინებს, რომ მან უკვე ამის წინააღმდეგ მიიღო ზომები.

ამ რიგად უკვე მიღებულ ზომებით მალე დაიცლება ყაზარმები და შეიარაღებული ნაწილები გავლენ ბაქოდან. რაც შეეხება ამაზასპს, მას მიცემული აქვს ორი დღის ვადა, რომ შემდეგ დასტოვოს ადერბეიჯანის საზღვრები.

საქართველოს პარლამენტი

18 თებერვლის სხდომა.

გ. გვაზავას სიტყვა

ბატონებო! დღევანდელი პოლიტიკური მომენტი მოითხოვს მეტს გამუქებას. მოიგონეთ ორი ისტორიული თარიღი—ერთი—1878 და მეორე—1907 წელი. ამ წლებში დაიდვა ორი საერთაშორისო ხელშეკრულება. პირველი შესახებ ბათუმის და კუნძული კიპრისა. ამ ხელშეკრულების ძალით ინგლისმა იკისრა დაცვა ოსმალეთის საზღვრებისა მცირე აზიაში, ე. ი. აღუდგა წინ რუსეთის მსვლელობას სამხრეთისაკენ. მეორე ხელშეკრულობა ეხება სპარსეთს, ავღანისტანს და ტიბეტს, აქაც ინგლისი აღუდგა წინ იმავე რუსეთის მსვლელობას ინდოეთის ოკეანისაკენ. ორივე ხელშეკრულება არის შედეგი ხანგრძლივი დიპლომატიური ბრძოლისა და ორივეს აზრადაც აქვს, დაუდვას საზღვარი რუსეთის გაძლიერებას, რომელიც აშკარად ემუქრებოდა ინგლისის სასიცოცხლო ინტერესებს.

ეხლა მოხდა მსოფლიო ომი და ჩვენ წინ გადაშლილია თვალუწვდენი ნანგრევები ოთხი დიდი იმპერიისა—რუსეთის, გერმანიის, ავსტრია-ჰუნგრეთის და ოსმალეთისა. ამ ნანგრევებზე იბადებიან ახალი ეროვნული სახელმწიფოები. ვაი იმ ერს, რომელიც ვერ შეიგნებს ამ დიად ისტორიულ მომენტის მნიშვნელობას და მაშინ, როცა მთელი მსოფლიო განიცდის დიად კონვულსიას, არ შეუდგება თავის სახელმწიფოებრივ ცხოვრების აშენებას და განმტკიცებას. სახელმწიფოებრივი ცხოვრება—უმნიშვნელო ფანტაზია კი არ არის. იგია ერთად-ერთი ფორმა, აუცილებელი ერის არსებობისათვის; უამისოდ ერი მხოლოდ დიდი ბრბოა, რომელსაც, როგორც ქვიშას, აშლის და ალვის ყოველი ქარის მობერვა. სახელმწიფო არმატურაა, თავისებური ჯავშანი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აისხას ყოველ ეროვნულ ორგანიზმმა, თუ უნდა მას სიცოცხლე, თუ არა და იგი აუცილებლად გახდება ლუკმა პირველ შემოსეულ მტრისა. საქართველოს ერმაც უნდა შეიგნოს ეს, უნდა შეიგნოს, რომ ორი იმპერიის დიდი ნატეხებისაგან უნდა აღსდგეს ერთი მთლიანი საქართველო. ერთი ნატეხია ის ნაწილი საქართველოსი, რომელიც რუსეთს ეჭირა, მეორე—ის, რომელიც ოსმალეთს ეპყრა. ამ ორი იმპერიის დანგრევის შემდეგ უნდა აღსდგეს ძლიერი საქართველოს სახელმწიფო მის ისტორიულ საზღვრებში. აი დიადი პრობლემა, რომელიც ისტორიამ დაგვიყენა წინ და რომლის განხორციელება არის ერთად-ერთი და უაღრესი მოვალეობა ამ ისტორიულ მომენტში.

მართალია, ეხლა თითქმის ყველა ერი დასუსტებულია ფიზიკურად და ფინანსიურადაც; შეიძლება, ჩვენ წინ ისეთი ისტორიული ამოცანაა, რომლის ასრულება აღემატება პატარა ერის ძალ-ღონეს, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა ვისარგებლოთ იმ საერთაშორისო ძალთა განწყობილებით, რომელიც სცემს ჩვენს ქვეყანაში და მოქმედობს სხვა ახლო-მახლო ქვეყნებში. ასეთი არის თავდაპირველად ინგლისი. მე ზემოთ მოგიყვანეთ მოსაზრება, საიდანაც სჩანს, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში ინგლისის პოლიტიკა და დიპლომატია ებრძოდა რუსეთის იმპერიალიზმს მცირე და შუა აზიაში. ეხლა რუსეთი ჩაყენებულია თავის ბუნებრივ კალაპოტში და ინგლისის ინტერესი მოითხოვს ეს უმთავრესი ნაყოფი თავის გამარჯვებისა ხელიდან არ გაუშვას.

აქ ჩვენი ინტერესიც სრულებით ეთანხმება ინგლისისას. ამიტომ მე შიში არა მაქვს არც დენიკინის შემოსვლისა, არც ბოლშევიკების გამარჯვებისა. შიში არა მაქვს მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენი მთავრობა იქნება იმ სიმაღლეზე, რომელსაც მოითხოვს ეს ისტორიული მომენტი, თუ იგი შეიგნებს, რომ, ვიმეორებ, უაღრესი მოვალეობა ეხლა არის დიდი და ძლიერი საქართველოს სახელმწიფოს შექმნა.

მერე ჰსდგას ამ სიმაღლეზე ჩვენი მთავრობა?!

სამწუხაროდ არა ჰსდგას. სახელმწიფოს აშენება, ჩაცმა ჩვენს ეროვნულ ორგანიზმზე იმ რკინის და ფოლადის არმატურისა, რომელსაც ჰქვიან სახელმწიფო, სამწუხაროდ ჩვენს მთავრობას არა აქვს რიგიანად გათვალისწინებული, ვიტყვი მეტსაც—იგი თითქმის მივიწყებული აქვს. ჩვენი მთავრობა ადგია სულ სხვა თვალსაზრისს და ისეთ თვალთსაზრისს, რომელიც პირდაპირ აფერხებს და ანგრევს ყოველ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას. ეს გზა კი სახიფათოა, ამისთანა პოლიტიკას ინგლისი ახარს ვერ დაუჭერს და თუ ინგლისმა ჩვენ გვერდი აგვიარა, ღმერთმა იცის, ჩვენ მარტო ჩვენი ძალით გავაკეთებთ რამეს თუ ვერა.

ფაქტი ასეთია. ინგლისმა დაიჭირა ბათუმი და ბაქო. ინგლისი დაინტერესებულია, რომ ბათუმ-ბაქოს რკინის გზა და საზოგადოდ ეს თავისებური კორრიდორი, რომელიც შესდგება საქართველოს და ადერბეიჯანისაგან, იყოს უზრუნველ ყოფილი ყოველ არეულობისა და ეროვნულ შუღლ-შემოხლისაგან. აშკარაა, ინგლისის ინტერესია, რომ კეთილ-მეზობლური განწყობილება არსებობდეს საქართველოს და ადერბეიჯანის შორის.

ბ. ნინიძე. ჩვენც ვცდილობთ დავამყაროთ ეს განწყობილება.

გ. გვაზავა. არა, თქვენ არა ცდილობდით, პირიქით, თქვენ ამბობდით, რომ ადერბეიჯანი ბეგების ქვეყანაა და მათთან მეგობრობა დემოკრატიას არ შეეფერებაო. თქვენ მარტო ბეგები გელანდებათ და ბეგებს შეჰყურებთ...

ხმა. თქვენ ვის შეჰყურებთ?

გ. გვაზავა. ქვეყანას, სახელმწიფოს. ჩვენ ადერბეიჯანს ვუყურებთ, როგორც სახელმწიფოს, როგორც სუბიექტს საერთაშორისო უფლებისას, რომელთან შეიძლება და აუცილებელიცაა კავშირი და მეგობრული განწყობილება. რაც შეეხება იმას, თუ ვინ არიან იქ, ბეგები თუ მდივან-ბეგები, რეაქციონერები თუ რევოლუციონერები,—ეს ჩვენი საქმე არ არის და ჩვენ არ შეგვეხება. თქვენ კი საქართველოს უყურებთ, როგორც სარევოლუციო ბაზას სხვა ქვეყნებში თქვენი სარევოლუციო მოღვაწეობის გადასატანად და ეს კი იწვევს ყოველგვარ საერთაშორისო უთანხმოებას. არა მგონია, ამნაირი მოღვაწეობით ჩვენ მოვიგოთ ინგლისის გული.

გადავიდეთ [illegible] მართალი იყო მინისტრი რამიშვილი, მე იმას სრულებით ვეთანხმები ახალციხეში მომხდარ ამბების მიზეზების დაფასებაში. მართალია, იქ მოქმედებენ ოსმალეთის ემისარები, იქ არიან ჩვენი პირდაპირი მოწინააღმდეგენი, მართალია, ამ მოვლენათა თავი და ბოლო იკვანძება სტამბოლში და ყარსში,—მაგრამ ეს სულ არა შლის ჩვენი მთავრობის პასუხისმგებლობასაც, ჩვენი მთავრობასაც მიუძღვის შეცდომები, რომელიც გამოწვეულია მხოლოდ იმით, რომ მთავრობა ივიწყებს სახელმწიფო ინტერესებს და მისდევს თავის დოქტრინალურ და ცხოვრებასთან შეუფერებელ დოგმებს. თქვენ ვერც კი მოესწარით ახალციხის შემოერთებას და იმავე წამს მიახალეთ იქ სარევოლუციო ლოზუნგი მიწის ჩამორთმევისა. საუკუნოებით შემუშავებული ხალხის პსიხოლოგია არ იცვლება უცბად ბ. ჟორდანიას დეკრეტებით და ბ-ნ ხომერიკის საკანონმდებლო ვარჯიშობით.

ე. გეგეჭკორი. ეს იყო პარლამენტის-მიერ დამტკიცებული კანონი. მიკვირს, თქვენ, იურისტი, როგორ ვერ არჩევთ ამას.

გ. გვაზავა. როცა პარლამენტმა დაამტკიცა ეს კანონი, მაშინ ახალციხე და ახალქალაქი საქართველოს საზღვრებში არ შედიოდა. პარლამენტის დადგენილება—კანონია, მაგრამ თუ კანონს შეაქვს ცხოვრებაში ალიაქოთი და იწვევს საშინელ აჯანყებას, აშკარაა, კანონი არ შეეგუება ცხოვრებას, რაც ისევე თქვენი ბრალია, ვინაიდგან პარლამენტში უმრავლესობა ისევ თქვენი პარტიისა.

ბატონებო! ჩვენმა მთავრობამ აღუთქვა სამუსულმანო საქართველოს ავტონომია და ამავე ახალციხეში დანიშნა არამც თუ თავისი ადმინისტრაცია, შეეცადა კიდეც შეჰხებოდა მიწადმფლობელობას. რა არის ეს? რად აძლევთ აღთქმას, ან თუ აძლევთ, რად არ ასრულებთ? რა არის თქვენს ავტონომიაში? როცა რამიშვილი ამბობს, რომ მოღალატეები უნდა დაგვეჭიროაო, ეს მართალია, მოღალატეები უნდა ჩამოვახრჩოთ ვინც გინდა იყოს—ქართველი თუ მუსულმანი, ეს—სახელმწიფოებრივი თვალსაზრისია; მაგრამ როცა ამავე დროს თქვენ შეგაქვსთ ცვლილება სხვა და სხვა ადგილობრივ მოსახლეობათა შორის მათი ქონებრივ მდგომარეობაში, მე გეკითხებით, ვინ მოგცათ ამისი უფლება?! ნ. ჟორდანიამ ბრძანა, რომ ჩვენ უნდა შევიტანოთ ყველგან დემოკრატიული წესებიო, მაგრამ მამულის ჩამორთმევა განა დემოკრატიული წესებია, და არა სოციალისტური?! აშკარაა, თქვენ დაივიწყეთ სახელმწიფოს ინტერესები, უარი ჰყავით მისი განმტკიცება, და ხელი მიჰყავით თქვენი პარტიულ პროგრამის განხორციელებას. ამით გამოიწვიეთ უთანხმოება და უკმაყოფილება და ნიადაგი მოუმზადეთ გარეშე ძალის შემოსევას. ბოლოს მიიღეთ აჯანყება. აი შედეგი თქვენი პოლიტიკისა. როგორ გგონიათ, ძალიან მადლობელი იქნება ამით ინგლისი?! მერე რას უპირებთ დანარჩენ სამუსულმანო საქართველოს, არტაანს, ოლთისს, თორთუმ-ისპირ-ლაზისტანს? ნუთუ იქაც გინდათ შემოიტანოთ ეს დავიდარაბა? ამ გზით და მეთოდით თქვენ საქართველოს ვერ აღადგენთ, გაიჩენთ ბევრს მტერს და გამოიწვევთ უკმაყოფილებას იქ, სადაც ჩვენთვის საჭიროა მეგობრული კავშირი და დახმარება.

ბევრია კიდევ შეცდომები, მაგრამ რაც გინდ იყოს, დღეს ყველაფერი უნდა დავივიწყოთ, დღეს საქართველო უნდა ისევ გამოვიდეს მთლიანი და ერთსულოვანი. ყოველ მოქალაქემ, ყოველ ცოცხალ ძალამ დღეს უფრო აშკარად და მკაფიოდ უნდა შეიგნოს, რომ ჩვენ წინ ჰსდგას დიდი პრობლემა—დიდი საქართველოს შექმნა, აღდგენა და განმტკიცება სახელმწიფოსი მისი ისტორიულ საზღვრებში. საგანი ისე დიდია, და ისე ცხოველ-მყოფელი, რომ არ შეიძლება მან ფეხზე არ დააყენოს მთელი საქართველო. ჩვენ ყველა თქვენთანა ვართ, ყველა გვერდში ამოვუდგებით მთავრობას, მხოლოდ გაგვიძღვით წინ და წაგვიყვანეთ გადაწყვეტილად და ერთსულოვნად ჩვენი დიადი და სახელოვანი მიზნისაკენ.

(დასასრული იქნება)

საქართველოს შესახებ ინფორმაცია რუსეთში

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რა ცნობები და წერილები იბეჭდებოდენ საქართველოს შესახებ რუსულ გაზეთებში, განსაკუთრებით სომხების მიერ.

ყალბ ცნობებს აწვდიდენ რუსულ საზოგადოებას განსაკუთრებით საქართველო-სომხეთის შესახებ.

რუსული პრესის ესეთი ინფორმაციის გამო, ოდესაში მყოფ საქართველოს საკონსულომ, თავის პრეს-ბიუროს საშუალებით ოდესის გაზეთებში გამოაქვეყნა წერილი შემდეგი სათაურით:

„სიმართლე“

საქართველო-სომხეთის კონფლიქტის შესახებ.

„თბილისიდან მოსულ ცნობების მიხედვით საქართველო-სომხეთის კონფლიქტის დასაწყისის მიზეზი და მისი ლიკვიდაციის შედეგი გამოიხატება შემდეგში:

საქართველოს მთავრობის ინიციატივით 10 გიორგობისთვის 1919 წ. მოწვეული იყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია სადაო საკითხების გადასაწყვეტად მშვიდობიან გზის საშუალებით და აგრედვე ერთი დელეგატის ამოსარჩევად საერთაშორისო კონფერენციაზე გასაგზავნად. სომხეთის მთავრობისაგან დეპეშა იყო მიღებული, რომელშიც იუწყებოდნენ რომ გზის გაფუჭების გამო სომხეთის დელეგაცია დანიშნულ დროისთვის ვერ მოვა და კონფერენციის გადადებას თხოვდნენ. კონფერენცია გადიდო 15 გიორგობისთვისთვის. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში სომხეთის დელეგაციის მაგივრად მიღებული იყო ცნობა, რომლითაც ისინი იტყობინებოდნენ რომ სომხეთის მთავრობა თხოულობს ჯერ საქართველო-სომხეთის საზღვრების გადაწყვეტას განსაკუთრებულ კომისიით და შემდეგ ისე სცნობს შესაძლოდ დელეგაციის გაგზავნას ამიერ-კავკასიის კონფერენციაზე.

საქართველოს მთავრობა ამაზედაც დასთანხმდა და თავის მხრით დაუმატა, რომ თუ ვინიცობაა შეთანხმება ამ საკითხში ვერ მოხერხდება კომისიის შემწეობით, მაშინ ყოველი საკითხი უნდა გადაწყდეს არბიტრაჟით, რაც მისი გადაწყვეტილება საქართველოსთვის იქნება სავალდებულო და კანონიერი.

ყოველ მოლოდინის წინაღდეგ ამ წინადადებაზე სომხეთის მთავრობისგან მიღებული იყო ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვდა ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრების დაუყოვნებლივ დაცლას საქართველოს ჯარისაგან. ამავე დროს სომხეთის ჯარები სანაინთან დაეცნენ საქართველოს საზღვარზე მდგარ ჯარებს, და 52 კაცამდის მოუკლეს. შემდეგ თბილისისკენ გაეშურნენ. ქართველი ჯარი სრულიად მოუმზადებლად შეხვდა მოულოდნელ ომს და დაიხია. სომხეთის ნაწილებმა ზედი-ზედ დაიჭირეს სტრატეგიული ადგილები, დაიჭირეს სადგური სადახლო, რომელიც 65 ვერსზე მდებარეობს თბილისზე.

ასეთი ვერაგულ დასხმამ სომხების საქართველოს მათდამი ომის გამოცხადებამ დიდი უკმაყოფილება და მძულვარება გამოიწვია. საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულ მობილიზაციამ მკვირცხლად ჩაიარა და ჯარის აღფრთოვანებას საზღვარი არა ჰქონდა. ჯარში ეწერებოდნენ ისინიც ვისაც მობილიზაცია არ უწევდა. რამდენიმე დღეში საქართველოს ხელთ იყო ორას ათასამდე ჯარი, მათ შორის სახალხო გვარდიაც, რომელნიც ეკვეთნენ სომხეთის ნაწილებს სადახლოში.

საქართველოს მთავრობამ მაშინათვე გამოაქვეყნა ყოველივე დიპლომატიური მიწერ-მოწერა სომხებთან და თავის განცხადებაში აუწყებდა საქართველოს მოქალაქეთ, რომ მთავრობა ცდილობდა ყოველ-გვარ ზომების მიღებას მთავარი სადავო საკითხების გადაწყვეტას სომხებთან არბიტრაჟის საშუალებით და ყოველივე პასუხისგება ამ სისხლის ღვრის თავზედ აწყდებოდა სომხეთის მთავრობას სინდისს. შემდეგ საქარეველოს მთავრობა გამოსთქვამდა მწუხარებას და საქმის მალე ლიკვიდაციას, მანამდე კი იგი იბრძოლებს იმ ავანტიურისტ დაშნაკელების წინააღმდეგ რომელთაც ეს ომი გამოიწვიეს და არა სომხეთის ერის წინააღმდეგ.

საქართველოს ჯარმა მალე უკუაგდო მოწინააღმდეგე და მტერს შეტევა დაუწყო. საომარ მოქმედების დროსაც საქართველოს მთავრობა მიჰმართავდა სომხეთს ომის შეჩერებას ინგლისის მისიის შუამდგომლობით. მაგრამ სომხეთის მთავრობა პასუხს მაინც აყოვნებდა, უეჭველია თავის გენერალურ ბრძოლის მოლოდინის გამარჯვების თვალსაზრით, რომელიც გაჩაღებული იყო ბრძოლა ამ დროს ბადის ხაჩინთან. ამ გაცხარებულ ბრძოლაში სომხეთის ჯარი სასტიკად დამარცხდა და ნაწილი ჯარისა წაიყვანილ იყო ტყვეთ, ნაწილი კი უგზო-უკვლოდ ივლტოდა.

ამ დამარცხების შემდეგ სომხეთის მთავრობამ გამოგზავნა სამშვიდობო დელეგაცია თბილისში, საქართველოს მთავრობის მიერ წამოყენებული ყველა პირობები მიიღო. პირობები ასეთია: სომხეთის ჯარები გადადიან საზღვრებზე ვიდრე ომი დაიწყებოდა. სომხეთის მთავრობა ვალდებულია ყოველი საკითხის გადაწყვეტას საქართველოსთან მოუცადოს არბიტრაჟის გადაწყვეტილობას და საქართველოს ჯარები ამის შემდეგ აჩერებენ საომარ მოქმედებას. ამ ჟამად სომხეთის ჯარი იმყოფება ძველ საზღვარზე.

ოდესის საქართველოს კონსულთან არსებული პრესბიურო

P. S. ჯერ კიდევ ამ კონფლიქტის დაწყებისას, როდესაც საქართველოში არავინ მოელოდა სომხეთთან ომს, რუსულ პრესაში და კერძოდ ოდესის გაზეთებში ცნობები იყო ომზე. თითქოს სომხეთის ჯარმა თბილისის მიდამოები დაიჭირეს და თვით თბილისიც კი, ვითომ ამ ომში ქართველები დამარცხებულიყვნენ და ფოთში სომხების დარბევა მომხდარიყოს და სხ. ამის შემდეგ ადვილი გასაგებია თუ ვისი ხელი სთესდა პროვაკაციას.

პრეს-ბიურო.

ამ წერილის გაზეთებში გამოქვეყნების შემდეგ ოდესის გაზეთებში მოთავსებულ იქმნა შემდეგი ფრიად საყურადღებო ცნობა.

სომხეთის კონსულის პროტესტი

კიევიდან ჩამოსულ სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელ კონსულმა გ. ს. ამოევმა ინახულა საქართველოს კონსული, რომელმაც პროტესტი განუცხადა იმ წერილზე, რომელიც იყო დაბეჭდილი „ოდ. ნოვ.“ № 7084-ში სიმართლე ქართველ-სომხეთის კონფლიქტისთვის“ საქართველოს კონსულის პრესბიუროს ხელმოწერით რაც უთითებდა რომ წერილი სიმართლეს არ შეეფერებაო.

უცხოეთის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან

ჰერგარტ ჰაუპტმანი.

ჰერგარტ ჰაუპტმანი გერმანიის მძიმე ყოფნით დასევდიანებული ნერვების აშლით ავად გამხდარა.

ამბოხება ბესარაბიაში.

ბესარაბიაში ამბოხება დღითი დღე იზრდება. აკკერმანში რუმინელ ჯარის კაცებმა წითელ ბაირაღებით ჩაიარეს ქუჩებზე.

ბოგდან ხმელინსკის ძეგლზე.

ბოგდან ხმელინსკის ძეგლზე ზედწარწერილი: ერთობილი და განუყოფელი რუსეთი თეთრი საღებავებით წაჰშალეს.

კინემატოგრაფი მონასტერში.

გრიდნენის მონასტერში, კალუგის მაზრაში ბოლშევიკებმა კინემატოგრაფი გაჰხსნეს.

დიდი არხი.

განზრახულია როსტოვ-ტაგანროგ-აზოვით დიდი საზღვაო არხი გაიყვანონ.

ყირიმის მთავრობის კრიზისი.

ყირიმის ყ. პრემიერ მ. სულკევიჩის სიტყვით „ყირიმის მაჰმადიანები უმეტესად არიან ნაციონალ-დემოკრატები და ფედერალისტები. ყირიმში ამ ჟამად ზეიმობს ტენდენცია „ერთობილ და განუყოფელ“-ისადმი, მისწრაფება ყირიმის ნახევარ კუნძულისგან ტავრიდის გუბ. შექმნისათვის. რის გამოც ახალ მთავრობას განუზრახავს შეიერთოს ეგრედ წოდებული მატერიკული მაზრები (ბერდიანსკის, მელიტოპოლის და დნეპრის). ამ მიზნისათვის უკვე აიღეს ბერდიანსკი, ალეშკი და მელიტოპოლი. ამ ჟამად ყირიმში განზრახულია სრულიად ყირიმის სეიმის ყრილობა მოიწვიონ, მაგრამ ახალი თუ ძველი მთავრობა მოიწვევს ამის თქმა ძნელია.

ფრინა ელზასში

ელზასი. ღამე. ფლეიტების ცივი ხმაური.
ფრინა. დარბაზი. ყვავილები ვერცხლის ხანჯლებით.
ზურმუხტ სარკეებს აელვარებს თეთრი სანთლები
და თრთის სხეული მზით ამწვარი და უცნაური!

ჰკივის ორკესტრი ცხელ ტაშებში აურზაურით
მღერა. სიცილი. და კასკისი ტანის ანთებით.
ავადმყოფ თვალებს აცეცხლებულს შავ განათებით
წითლად აკრკოლებს ავზნიანი კოცნა ზაირის.

ჰქრება სანთლები და სიბნელე შავად ჰმეფდება.
ავობს სიჩუმე. ფლეიტების ხმები შეწყდება.
შეშლილ სახეებს აცახცახებს ლანდი სიკვდილის.

და აჩრდილები ისახება ოქროს სარკეზე.
ნაზი ჰეტერა მოთენთილი ვნებიან მზეზე
აშლილ სხეულით ძირს ეშვება ლონემიხდილი!

ვ. გორგაძე.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).
თებერვლის 21

ინგლისური პრესა.

მოკავშირეთა სამხ. მდგომ. ჩრდ. რუსეთში

ვილსონმა ამერიკის სამხედრო მინისტრს შეატყობინა, რომ უმაღლესი საბჭო ზომებს ღებულობს ჩრდილოეთ რუსეთში მოკავშირეთა სამხედრო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ფრანგული პრესა

საზავო კონფერენცია

ხუთშაბათისთვის დანიშნულია საზავო კონფერენციის სხდომა პარასკევისთვის გადაიდო. საფრანგეთის წარმომადგენლნი იქნებიან პიშონი და ტარდიე. ლანსინგი ალბად თავმჯდომარედ იქნება. განიხილავენ შემდეგ საქმეებს: 1) ზონა, რომლის ოკუპაცია არ მოხდება ტრანსილვანიაში; 2) იცნონ პოლონეთის მთავრობა; 3) დანიის ელჩის პარიზში განცხადება შლეზვიგის შესახებ; 4) ალბანეთის დელეგაციის თავმჯდომარის თურხან-ფაშას განცხადება; 5) განადგურებულ ადგილებში სურსათის საქმის გამგე ეკონომიურ კომისიის ანგარიში.

მუშ. საერთაშ. საკანონმ. კომ. სხდომა

მუშათა საერთაშორისო საკანონმდებლო კომისიის სხდომა მოხდა ხუთშაბათს სამუელ გეპერსის თავმჯდომარეობით.

კლემანსოს დაჭრის გამო

ისპანიის მეფემ დეპეშა გაუგზავნა რესპუბლიკის პრეზიდენტს, სადაც მწუხარებას გამოსთქვამს კლემანსოს დაჭრის გამო. პრეზიდენტმა საპასუხო დეპეშაში მადლობა გადაუხადა მეფეს თანაგრძნობისთვის.

კლემანსოზე თავდასხმამ საფრანგეთის პარლამენტში ერთსულოვანი აღშფოთება გამოიწვია. პარლამენტის თავმჯდომარემ საფრანგეთის სახელით გამოსთქვა მწუხარება და მალე მორჩენა უსურვა კლემანსოს. „მთელი საფრანგეთის, სთქვა მან, მწუხარებით მოისმინეს კლემანსოზე თავდასხმის ამბავს. მაგრამ მას დამამშვიდებელი ამბავიც მოყვება, რადგან კლემანსოს მდგომარეობა საშიში არაა. მთელი პალატის სახელით მხურვალე თანაგრძნობას ვუთვლით მას და ვუსურვებთ მალე მორჩენას, რომ კვლავ შეუდგეს თანამდებობის ასრულებას. ჩვენ ვუთვლით მას მხურვალე თანაგრძნობას საფრანგეთის სახელით, რომელიც დიდ პატივს სცემს მას, ვინც მას შემდეგ რაც საფრანგეთი გამარჯვებამდე მიიყვანა, ყოველ ღონეს ხმარობს ჩამოაგდოს საპატიო ზავი. „მთელმა პალატამ ტაშის კვრით დააჯილდოვა ორატორი. სოციალ. დეპუტატმა რენოდელმა განაცხადა, რომ ის უერთდება მათ გულისწყრომას.“ ჩვენ, სთქვა მან, წინააღმდეგი ვართ მთავრობის თავმჯდომარის პოლიტიკისა, მაგრამ ამ ჟამად უერთდებით პალატის თავმჯდომარეს და გამოსთქვამთ კლემანსოს მალე მორჩენის სურვილს. ჩვენ, რომელნიც ვიბრძვით პროლეტარიატის და მუშათა კლასის ორგანიზაციულ მუშაობისკენ, ვგმობთ ამ გვარ პოლიტიკურ თავდასხმას.

მე მინდა ვსთქვა, რომ ჩვენ დამნაშავე ვიქნებოდით, რომ აქ არ გვეთქვა ჩვენი გულისწყრომა. საზღვაო მინისტრის გამოსვლას ტაშის ცემით შეხვდნენ. მან განაცხადა, რომ მინისტრ-პრეზიდენტი ძალიან კმაყოფილი იქნება მთელი სახელმწიფოს სურვილის გამომხატველ პალატის მიერ ერთ სულოვნებით გამოთქმულ ნდობით. ვიქონიოთ იმედი, რომ აქ წარმოთქმულ სიტყვებს ყველა გაიგებს და რომ ეს სიტყვები გონზე მოიყვანს ბოროტ პირებს.

იაპონიის ესკადრა ბრესტში.

იაპონიის მცირე ესკადრა, რომელსაც პორტლანდიდან გერმანიის 4 წყალქვეშა მიყავს, ოთხშაბათს შუადღისას ბრესტის ნავთსადგურში მოვიდა.

ვინდავას დაცლა

პრესაში ცნობებია მოთავსებული რომ, ბოლშევიკები სცლიან.

პოლონელთა თავდასხმა

დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგ პოლონელები განაგრძობენ თავდასხმას, ამგვარათ პოლონეთის რაზმი, რომელიც 60 კაცისგან შესდგებოდა, თავს დაესხა შლეზვიგის ტერიტორიაზე კეტოვსკის სადარაჯოებს. მილიჩის ჩრდილოეთით ღამით შემოსეული ჯარი მოგერიებულ იქნა. შემოტევის დროს რავიჩს და ბენჩენის სამხრეთით პატარა სოფლებს თავს დაესხნენ, მაგრამ უკუ ქცეულ იქნენ.

რადგან დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგ პოლონელები ისევ განაგძობენ სამხედრო მოქმედებას, გერმანული პრესა მოითხოვს რომ, მოკავშირეთა სახელმწიფოებმა პოლონელები იმ საზღვრებში მოათავსონ რომელიც ხელშეკრულებაში იყო აღნიშნული.

ლინდემანის დაპატიმრება.

ვეიმარში მუშათა დეპუტატების წევრი ლინდემანი დააპატიმრეს იმ დროს, როცა ის ბიურგერმეისტერის კრებაზე კანტროლიორის თანამდებობას ასრულებდა. მიზეზია სპარტაკელების პროკლამაციების გავრცელება, სადაც ნაციონალური ყრილობის წინააღმდეგ მოწოდება იყო. ლინდენმანი ვეიმარის დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატების ბელადია.

ნაციონალურ ყრილობის გამო.

გოტაში ცენტრალურ მთავრობის მოთხოვნილებაზე იმ მუშების შესახებ, რომელნიც ვეიმარში ნაციონალურ ყრილობას ემუქრებოდენ, გამოიცა საერთო იარაღის აყრის განკარგულება, რაც ალბად სისრულეში მოყვანილია. ამის და მიუხედავათ გოტში მთავრობის ჯარის შესვლის შემდეგ მოხდა საერთო გაფიცვები. გაზეთები არ გამოდის. ვეიმხშიც გაფიცვები გამოაცხადეს.

სპარტაკელები ებერფელნში..

ებერფელნში, სადაც სპარტაკელებმა ძალა-უფლება ხელთ ჩაიგდეს, ხელახლა აიღო სადგური და... (დამახინჯებულია). ყოველი ზომა სპარტაკელებისა ძალით გამოიწვიონ გაფიცვები, წინააღმდეგობას იწვევს სოც.-დემ. უმრავლესობის ორგანო აღნიშნავს, რომ საერთო გაფიცვები მიზანს ვერ მიაღწია.

პრეზ. ვილსონის სიტყვა.

ლონდონი. პრეზიდენტ ვილსონმა თავის სიტყვაში, რომელიც ორშაბათს წარმოსთქვა დეპუტატთა პალატაში, სთქვა: უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში მოხდა ის, რამაც შთააგონა ყველას თავისუფალ კავშირის შექმნის აუცილებლობა იმ სახელმწიფოთა შორის, რომელნიც რეინის იქით მდებარეობენ: გერმანიის, პოლონეთის, რუსეთის და აზიის. არის კითხვები, რომელზედაც ახლა პასუხის გაცემა არ შეიძლება. საფრანგეთი ჯერ კიდევ სდგას საფრთხის წინაშე თუ ის მარტოთ დარჩება, მაშინ იძულებული იქნება მუდამ შეიარაღებული იყოს, თავის ხალხს დიდი გადასახადები დაადვას და მსხვერპლი გაიღოს; ეს აუტანელია არა მარტო საფრანგეთისთვის და ამიტომ ყველა სხვა ერიც შეიარაღებული და მზად უნდა იყოს მოსალოდნელ უსამართლობის წინაშე. არ შეიძლება იმის უარყოფა რომ ქვეყნის მმართველნი ფიქრობდნენ მხოლოდ მთავრობაზე და სრულიად არ ფიქრობდენ ხალხზე. ის რაზედაც უნდა ეფიქრათ მათ იყო: მცხოვრებთა კეთილდღეობა, მათი სახლეის დაცვა და ზრუნვა მათ ბედნიერებაზე. ახლა მათ იციან, რომ ერთად-ერთი საშუალება მიაღწიონ ამას, არის საფრანგეთის თავისუფლების დაცვა, ან და იმ სახელმწიფოსი, რომელსაც ემუქრებიან.

მუშაობის გაუმჯ. მეთოდებისთვის.

ხალხთა ლიგის კომისიამ დღევანდელ სხდომაზე იმსჯელა მუშაობის გაუმჯობესების მეთოდების შესახებ. ყველამ გაიზიარა ის აზრი რომ საკითხები რაც შეიძლება მალე უნდა იქნეს განხილული.

ომის კანონების სხდომა.

ომის კანონების კომისიის დღევანდელ სხდომას დაესწრენ დიდ სახელმწიფოთა ყველა წარმომადგენელნი ბელგიის, რუმინიის, სერბიის, პოლონეთის და საბერძნეთის წარმომადგენლებთან ერთად. თავმჯდომარეთ არჩეულ ლანსინგის წინადადებით დანიშნეს სამი ქვედა კომისია: ერთი ფაქტების გამოსარკვევათ, დანარჩენ ორმა კი უნდა გამოარკვიოს ომის კანონების დარღვევისთვის სასჯელი.

გერმანიის ეროვნული ყრილობა.

გერმანიის ეროვნულ ყრილობის დღევანდელი სხდომა არა ჩვეულებრივად ხანმოკლე იყო. სხდომის გახსნამდე ლაპარაკობდენ, რომ მინისტრ ერცბერგერის განმარტების შემდეგ სხდომა შესწყდებაო. დეპუტატები

ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

7.

ბატონ მეფეს გაუმარჯოს! უნდა გამეღვიძებინე და ვყურმობდი, მეძნელებოდა, ძილი შემეკრთო შენთვის.

— დამძინებოდა. თქვენკენ მოვისწრაფოდი ეხლა. საკვირველი სიზმარი ვნახე, წინასწარ მთქმელი. მინდოდა თქვენთვის გამეზიარებინა.

— რა იხილე სასიკეთო, რჩეულო ღვთაებავ?

— გველი მოდიოდა ჩვენზედ ფრთა ასხმული, სიმრავლე გველისა. ჰაერს აბნელებდა. შიშის ზარი დაეცა სულდგმულს. რომ მოვიდა და მომატანა, უზომო ისართა სიმრავლედ იქცა, ბავშვთა სამღერ ბოძალთა გროვად, რომელიც სხლტებოდა ჯავშანზედ. ხტებოდა ფარზედ მთლად უვნებლად, ცვიოდა უღონოდ, იფინებოდა.

— კეთილის მომასწავებელი ზმანება გიჩვენებია. კარგად აგიხდენს ღმერთი უფალი, მსწრაფლ აგიცხადებს: იმისთვის მინდოდა შემომეხედნა გაღვიძებისას, რომ მტერი ახლოა თურმე ჩვენზედ, ძალიან ახლო; ზედ მოგვფენია [illegible] კადნიერი. გულაზის საყდარს ასცილდნენო, თავკვეთილს გადმოეფინენო, ეს არის მოიტანეს ამბავი. ალბად უკვე ჩამოესია სოფლებს, ბარალეთს, ფარავანს.

აშოტი მცირედ ჩაფიქრდა. გადიწერა პირჯვარი. ბრძანა:

— დააძახეთ ყვირისტვირს! ჰკარით ნაღარს! შეამზადეთ ხალხი! შეეკაზმეთ! ამ წამს თქვენთანა ვარ. ცხენი!

არ გაუვლია ერთ საათს, რომ მთელი მებრძოლი ხალხი აშოტის წინ იყო შეყრილი. დარაზმეს ცხენოსანი ცალკე, ქვეითა ცალკე; შეიარაღებული ცალკე, უიარაღო იქით. აშოტმა აათვალიერ-ჩაათვალიერა ყველანი და მიმართა:

— დახე, ძმანო, ჩვენს დამცირებას: დამარცხებული მტერი გვდევს უკვე უკან კვალ-და-კვალ. ერთის დაკვრითა ჰსურს მოგვსპოს შიგ შუაგულ სამშობლოში. რახან მთავარი ბრძოლა წავაგეთ, ჰგონია სიმამაცეც მთლად დავკარგა და შესაძლოა, ჩვენზედ ნადირობა, ვით ქურციკთ არვეზედ. დავლად მიელის ჩვენს თავს, ჩვენს ცოლშვილს, მთლად ჩვენ სამშობლოს. ვნახოთ! მწამს, შევანანო კადნიერება. მთლად არ გასწირავს თავის ერს ღმერთი. და თუ არა, დავიხოცნეთ იარაღით ხელში, როგორც შეჰშვენის ვაჟკაცს გულოვანს! მონობას ვერ ავიტანთ ქართველნი: ან სიკვდილი, ან გამარჯვება!

— გამარჯვება! გამარჯვება! სიკვდილი მტერსა! შესძახა ხალხმა.

გასცა აშოტმა ბრძანება, მოახდინა განკარგულობა. სულ ცოტა ხანში გაუდგნენ გზას დარაზმულები, იმავე შარას, რომლითაც გუშინ გაისტუმრეს ლტოლვილი ჯალაბობა. თითონ აშოტი უკან მოექცა თავის პატარა ჯარს, საომრად იყვნენ შეიარაღებულნი მეფეც, მისი თანამებრძოლნიც. აშოტი ყორნის ფერ სამანდზედ იჯდა ჯაჭვ-ჯავშნით დაფარულზედ. ჰშვენოდა ბრგე ვაჟკაცს შეგთარ-მუზარადი. წინ, მის მახლობლად, მიდიოდა ცხენოსანი რაზმი. მათ წინ, შორი-ახლო, ქვეითნი შეიარაღებულნი. სულ წინ უიარაღონი. შეუდგნენ მთის სანსრებსა და ფარავან შუა, საიდან სდის ბარალეთის მდინარე. გზა ხევს რასმე ასდევდა. ამ ხევს და ბარალეთის წყლის სათავეს თავი თავს გადაედოთ მთის თხემზედ, ჩაედაბლებინათ იგი, ჩაეტეხნათ, გზა ამ უღელტეხილზედ გადადიოდა. მეფის ბრძანება იყო უიარაღო მოწინავენი ასულიყვნენ მთის წვერზედ, იქ შემდგარიყვნენ, გადასავალზედ, არ დაეთავქვევებინათ. მთა უტყევო იყო, ბალახიანი; შიგადა-შიგ ჯაგნარიც იზრდებოდა ხევხუვში, მთის თხემზედ თივისა თუ ჯაგნარის ცეცხლი უნდა დაენთოთ მრავლად, რომ მტერს შეენიშნა შორიდან მათი ბანაკი, ლტოლვილ ჯალაბთა ბანაკად მოსჩვენებოდა. ქვეითები ორ რაზმად გაჰყო და გზის აქეთ-იქით ჩაასაფრა ფერდობებზედ. თითონ თავისი ცხენოსნებით საჩენ ადგილას დაიბანაკა, სწორედ იქ, სადაც ხევი ღრმავდებოდა. გამოცდილმა სარდლებმა მაშინვე შეხიშნეს, რომ აშოტს განეზრახა მტრის შეტყუება ვიწროებში.

ჯერ არც კი იყო აშოტის ბრძანება სწორედ ასრულებული. რომ გამოჩნდა გუნდგუნდად მტერი. სწრაფად მოიწევდნენ წინ, მტრის ლაშქარმა გადმოიარა ის ადგილი, სადაც წინადღეს დაბანაკებული იყვნენ ქართველნი და, რა ველარ მოასწრო მათ იმ ადგილას, დევნა უყო ფიცხელი. მოსწვდნენ მოწინავენი აშოტს. შეიქმნა ბრძოლა ისრით, განმახვილი ჯირითებით. დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ხელჰყვეს ჰოროლს თუ კინენს. მიდგა ჯერი გულზედ თუ ლახტზედ. იშიშვლეს ხმალი. შეატბოოეს ქართველებმა მტერი. იწყეს, აშოტის ბრძანებით, თანდათან უკან დაწევა. შევიდნენ ხევში. მტერს თავიდანვე ემცრო აშოტის რაზმი, სუსტი ეჩვენა და, რა ნახა მისი უკუქცევა, მთელი ძალით დააწყდა ზედ, რომ ერთის დაკვრით მოესპო მებრძოლნი და მსწრაფლ მისწდომოდა იმ ადგილას' სადაც მისი ჰაზრით დაბანაკებულნი იყვნენ ლტოლვილი დედა-წულნი. მტრის ლაშქარი შეჯგუფებული შევიდა ვიწროებში. ამ წუთს ელოდა მეფე-სარდალი. შეაყენა თვისი ჯარი, შემოუტია. მტერს არა ჰქონდა ფართედ გასაშლელი ადგილი, მხოლოდ მოწინავენი ებრძოდნენ აშოტისებს. საძრაობა ვერ უყვეს კარგად შეიარაღებულ ვაჟკაცებს. სხვანი მტერთაგანი სულ წინ იწევდნენ, მხოლოდ იკრიბებოდნენ თავიანთ მებრძოლთ ზურგით კერძოთ აწვებოდნენ წინა მწკრივებს. გასცა აშოტმა ბრძანება, ჩასაფრებულნი გადმოსდგომოდნენ ხევს.

მოისმა გზის აქეთ-იქით აზეულ კალთებიდან ყიჟინა. სეტყვასავით წამოვიდა შურდულის ქვა. მზე დააბნელა მფრინავმა ისარმა. შემოიჭრა აშოტიც მოწინავე რაზმში, დაშალა მისი წყობილება. ტოტით თუ კბილით სპობდა წინააღმდეგთ რაში გაწრთვნილი. საითაც დაიქნიოს ხმალი ბუმბერაზმა, კვალი აჩნდის იქ ცალიერი მებრძოლთ სიმრავლეში. როსტომისებრი მისი მახვილი მტერზედ მოწევნილ მეხისტეხად უჩნდათ ქართველებს. შეკრთნენ სარკისოზნი, შეიოყნენ წინაამძრომლნი. პირი იბრუნეს შემოწყნებულთ. ბრიეს სხვანიც მებრძოლნი. მისის ზარმა აიტანა აიოდება ხალხი. ყველა ისწრაფოდა გასცლოდა ამ ჯოჯოხეთს. ალარ დასცალდათ: სამი მხრით შემოურტყნეს ქართველები, ულეტდნენ [illegible] ახდილ მტერს. მოესწრნენ ისინიც, ვინც მთის გადასავალში იყვნენ შემდგარნი. დაიძრა სულ უკან მდგომი მტერიც შეაარგულე, რომელიც ნატაცებ საქონელს თუ ტყვეს მოერეკებოდა. რაკი ნახეს თვისნი ძლეულნი, ანებეს ყველაფერს თავი და ივლტოდნენ. ძნელი და იყო განერიდნენ მძლეველთ. შეისხეს უიარაღოებმა ძლეულთა აბჯარი. ასხდნენ მათ ცხენებზედ, დაედევნენ. დიდი გამარჯვება მიანიჭა ღმერთმა აშოტს. გადარჩა მტერთაგანი მხოლოდ ის, ვინც ჩაიმალა ხევ ღრანტეებში. ვერც ისინი გადარჩებოდნენ, თუ არ დაღამებულიყო, წყვდიადს არ ეწფრო. აშოტმა მახარობელი აფრინა წინ გაგზავნილ ჯალაბობისკენ. შეუთვალა:

— შესდექით სანსრებში, დაბანაკდით და დამიცადეთ, მანამ მოვაწყობ ყველაფერს. რომ სავსებით ვისარგებლო მტრის დამარცხებით, ღვთისაგან მონიჭებულ დიდ გამარჯვებით.

ვასილ ბარნოვი.

(გაგრძელება იქნება)

66

მსჯელობდენ დროებითი ზავის ახალ პირობებზე, რომელიც დილის გაზეთებში უკვე იყო მოყვანილი. ამ დროს მთავრობის დარბაზში გაიარა ერცბერგერმა, რომელიც ნამეტანი დაქანცული და გაფითრებული იყო, სახე ჩვეულებრივზე ძალიან მკრთალი ქონდა ის საჩქაროთ გაემართა მინისტრთა ლოჟისკენ სადაც ჯერ არავინ იყო. ყრილობის თავმჯდომარე სხდომის გახსნისთანავე რიგს გარეშე სიტყვას აძლევს შეიდემანს.

დეპუტატებით და ხალხით გაჭედილ დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. შეიდემანი წინადადებას იძლევა ხვალვე გაეცეს პასუხი მეინზეს შეკითხვას დროებითი ზავის პირობების შესახებ. ყრილობა თანხმობას უცხადებს. ტრიბუნაზე ადის ერცბერგერი და იწყებს: „ამ უმაღლეს ყრილობის არც ერთ წევრს არ ვუსურვებდი ისეთ მძიმე საათების განცდას, როგორიც მე იძულებული გავხდი განმეცადა ტრიერში“. შემდეგ მან წაიკითხა დროებით ზავის ხელშეკრულება, რომელიც უკვე იყო დაბეჭდილი გაზეთებში. შემდეგ წაიკითხა რამოდენიმე დამატებითი განმარტება უმთავრესად ომის შესახებ, რომ უნაყოფო გამოდგა ყოველგვარი ცდა, რომ მარშალ ფოში დაეთანხმებულიყო პირობების შემსუბუქებაზე. ყრილობა დუმით უსმენდა ერცბერგერს. მხოლოდ ორჯერ გაისმა მარჯვენა მხრიდან ხმა: „ყურადღება, ყურადღება,“ იმ დროს, როდესაც მინისტრმა განაცხადა, რომ როგორც ეტყობა პრეზიდენტი ვილსონიც მოემხრო ამ მძიმე პირობებსა. როდესაც ორატორმა სთქვა. რომ თან აღშფოთება განაცხადა იმის გამო, რომ გერმანელ სამხედრო ტყვეების დაკავებას განაგრძობენ, ბევრ სკამზე თანაგრძნობის ხმა გაისმა. ერცბერგერის სიტყვის შემდეგ თავმჯდომარე ფერენბახმა წინადადება მისცა ყრილობას სხდომა გადაედოთ. ყრილობამ წინადადება მიიღო. დეპუტატებმა სწრაფათ მიატოვეს დარბაზი, მხოლოდ მთავრობის წევრნი დარჩენ და განაგრძობდენ თათბირს.

ერცბერგის მოხსენება.

ერცბერგმა წარადგინა 23 გვერდიანი მოხსენება, რომელშიაც ამართლებს გერმანიას დროებით ზავის ზოგიერთ პირობების აუსრულებლობაში. ერცბერგერმა მარშალ ფოშს გადასცა აგრეთვე შეიდემანს მოხსენება, რომელშიაც შეიდემანს სთხოვს, რომ პოლონელებს მოსთხოვონ შესწყვიტონ გერმანიის ტერიტორიაზე თავდასხმა. ამ შინაარსის დეპეშა ორშაბათს საღამოთი უკვე გაიგზავნა პარიზიდან ვარშავაში. დროებითი ზავი ხანმოკლეა და მას მოკლე ხანში მოყვება საბოლოო შეთანხმება რომელიც ძალაში დარჩება ზავის წინასწარ პირობების შემუშავებამდე. საბოლოო შეთანხმების პირობები სამხედრო და საზღვაო საკითხების შესახებ უკვე შემუშავებულია. გერმანიას უფლება ექნება იყოლიოს მხოლო 250,000 კაცისგან შემდგარი ჯარი. მთელი სამხედრო იარაღი, გარდა იმისა, რაც ამ რაზმს დასჭირდება, და აგრეთვე სამხედრო ქარხნები, მოკავშირეთა კანტროლის ქვეშ იქნება. 8 წევრისაგან შემდგარ კომისიამ. რომელსაც დავალებული ქონდა ზავის წინასწარ პირობების შემუშავება, მუშაობა უკვე დაასრულა, ეს პირობები ახლო მომავალში მოკავშირეებს წარედგინება დასამტკიცებლათ.

საფრანგეთის კულტურულ გავლენისთვის

საფრანგეთის კულტურულ გავლენის გავრცელების მიზნათ განათლების მინისტრი საგარეო მინისტრის თანხმობით აპირებს გახსნას განსაზღრული რიცხვის ლიცეები სამხრეთ ამერიკა, ბალკანეთში და აღმოსავლეთ ევროპაში; სამხრეთ ამერიკაში—შემდეგ ადგილებში: ბრაზილიაში, არგენტინაში, და ურაგვაიში, ჩილიში და პერუში; აღმოსავლეთით: ბეირუთში; ევროპაში აღადგენენ გალატის (სამბოლის) ლიცეის და ახლათ გახსნიან ათინაში და სამხრეთ სლავიანთა ერთ-ერთ ქალაქში.

პოლონეთის ზარალი ომში

კრაკოვიდან იუწყებიან, რომ ლიკვიდაციის მინისტრს ლადისლავ გრაბსკის გამოანგარიშებით პოლონეთისვის და კერძო პირთათვის ომს 25 მილიარდის ზარალი მიუყენებია.

საფრ. ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა გერმანიისგან

საბიუჯეტო და საკანონმდებლო კომისიების შეერთებულ სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა კლოტცმა განაცხადა, რომ მთავრობას სურს გერმანიას მოსთხოვოს ზარალის ანაზღაურება, რადგან მან საფრანგეთი გაძარცვა, გაანადგურა და გაანიავა. კლოტცმა სთქვა: საფრანგეთი ღირსია, რომ გერმანიის ბანკირად გადაიქცეს.

ხალხთა ლიგის ფინანს. განყოფილება

ხალხთა ლიგის ფინანსიურ განყოფილებს აირჩევს საზავო კონფერენციის კომისიები. ფინანსიურ განყოფილების მეთაურობა კლოტცმა იკისრა.

მოსკოვი. ჯარისკაცებს, გლეხებს, მუშებს, წითელარმიას მოუწოდებს იბრძოლონ ბოროტგამზრახველების წინააღმდეგ. უკრაინის ფულის ნიშნები გააუქმეს. ეს ზომა გამოიწვევს ყალბი ფულის გავრცელებას.

კიევი. თებერვლის 18. კიევის საბჭოთა დეპუტატების კრებაზე, მთავრობის მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა რაკოვსკიმ. ერთხმათ გამოიტანეს რეზოლიუცია, სადაც მთავრობას სრული ნდობა გამოეცხადა. კიევის ცენტრალურ რევოლ. კომიტეტში გამოცხადდენ კიევის გუბერნიაში დირექტორიის მიერ გამოცხადებულ მობილიზაციის მომწყობნი და განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ საბჭოთა მთავრობას და ითხოვენ ჩათვალონ წითელ გვარდიაში.

კიევი თებერვლის 16. ვინიციაში უკრაინის დირექტორიის წევრების კრებაზე გაირჩა საკითხი პოლონეთის მთავრობასთან შერიგების შესახებ მორიგების პირობა მიიღო დირექტორიამ.

ეკატერინოსლავი, თებერვლის 5. ელიზავეტოგრადში უკან დახეულმა პეტლიურას ჯარმა ებრაელთა მაღაზიები და ბინები დაარბია. მოკლულია 300. ნოვოროსისკში მოხალისეთა რაზმის რამოდენიმე აფიცერს კრასნოვმა გადააცვა ინგლისური ტანისამოსი და ოდესაში გაგზავნა.

ეკატერინოდარი. თებერვლის 17. საქართველოსა და მოხალისეთა ჯარს შორის დამოკიდებულება გამწვავდა. მოელიან შეტაკებას.

კიევი. თებერვლის 17. კაზატინთან იწყობა გლეხთა აჯანყება პეტლიურას წინააღმდეგ. გლეხები პეტლიურას ჯარს ავიწროვებს.

ვილნო. თებერვლის 19. ლიტვის საბჭოთა ყრილობა გაიხსნა. დაესწრო 220 დელეგატი. დელეგატთა უმრავლესობა კომუნისტია. დღის წესრიგშია საკითხი ბელორუსიის მუშათა და გლეხთა რესპუბლიკასთან შეერთება.

შენკურსკი. თებერვლის 18. საბჭოს ყველა განყოფილებამ მუშაობა დაიწყო.

ეკატერინოსლავი. თებერვლის 19. პავლოგრადში მემარჯვენე ესერები საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგოთ აჯანყების მოწყობას ცდილობდნენ. ქალაქში წესრიგი აღდგენილია.

ვილნო. თებერვლის 18. აღმოსავლეთ პრუსიიდან წამოსულ რუსეთის სამხედრო ტყვეებს ძალით აკავებენ საზღვარზე და სწერენ გერმანიის საზღვრების დასაცავათ ახლათ შემდგარ მოხალისეთა რაზმში.

ბერლინი, თებ. 12. გაზეთები იუწყებიან, რომ რადეკის დატყვევების დროს ნახული პროკლამაციები ამოწმებენ, რომ სპარტაკელების საქმე გერმანიაშა... (გამოტოვებულია) პოზნანში მთელ ფრონტზე ბრძოლაა გერმანელებსა და პოლონელებს შორის.

ამსტერდამი, თებ. 7. ესპანიის სამხრეთ პროვინციებში მუშათა მოძრაობა ძლიერდება. სეილში სამთო მუშების გაფიცვაა. ტურინში მღელვარებაა.

ნოვოროსია, თებ. 15. სტამბოლში დაატყვევეს ოსმალეთის „პროგრესის“ პარტიის თავმჯდომარე გუსეინ-ბეი, რომელიც ოსმალეთში სომხების დარბევას აწყობდა.

ვარშავა, თებ. 14. გაზეთი „რაბოტნიკი“ სწერს: ვენის რკინის გზა სავსეა რუსი ოფიცრებით. გამოირკვა, რომ ისინი მოსავლელი გზით ლიტვიდან მიემგზავრებიან ვარშავაში, კრაკოვში და ბუხარესტში. მათი მიზანია ნოვოროსიაში ჩასვლა, სადაც ისინი დენიკინის არმიაში ეწერებიან. ვარშავაში არის პუნქტი, სადაც ოფიცრები ღებულობენ ფულს და საბუთებს.

ლოძი, თებ. 10. გუშინ გერმანელ ჯარისკაცთა კავშირის კლუბში მივიდა მილიცია კომუნისტ ჯარისკაცების მიტინგის დასაშლელათ. შეტაკების დროს დაიჭრა მრავალი კომუნისტი, მრავალი დაატყვევეს. კავშირი დახურეს.

კიევი, თებერ. 16. დონის ოლქის გლეხებში რევოლიუციონური მუშაობა ძლიერდება. არსდება საბჭოები. აჯანყებულმა გლეხებმა სიბაშზე ხიდი ააფეთქეს.

ეკატერინოსლავი, თებ. 15. სევასტოპოლში მოხალისეთა არმიის მცირე რიცხვი დარჩა. ნავთსადგურში სდგას დრედნოუტი „პალმირა“, 2 იტალიის კრეისერი და 2 ტრანსპორტი. ჯარისკაცები კომუნისტების მხარეზე არიან. მელიტოპოლში იმყოფება მოხალისე არმიის 1000 ოფიცერი, რომელნიც წასასვლელათ ემზადებიან. მუშები და გლეხები მოუთმენლათ მოელიან საბჭოთა ჯარის მოსვლას.

ხარკოვი, თებ. 12. სრულიად უკრაინის საბჭოთა 3 ყრილობის მოწვევა, რომლის მიზანია საბჭოთა ორგანიზაციების და უკრაინის დაცვის საკითხი, დანიშნულია 1 მარტისთვის. უკრაინის საბჭოს სახალხო კომისარმა გამოუშვა მოწოდება.

ბოლშევიკური ცნობები

მოსკოვი, თებ. 19. (ც. ა. კ. ბეჭვდითი ბიუროს ბიულეტენი).

ნაუენა, თებ. 19. საფრანგეთი გერმანიისაგან თხოულობს მილიონ შინაურ საქონელს. იტალია დროებითი ზავის პირობების გასაგრძელებლათ თხოულობს გერმანიის ავსტრიისაგან 100 ორთქლმავალს და 2000 ვაგონს.

ნიურენბერგი, კომუნისტებმა და დამოუკიდებლებმა დაიჭირეს. ადგილობრივი მთავარი შტაბი აიღეს. ბურჟუაზიული გაზეთების ბინები დაიჭირა კომუნისტების რაზმებმა.

დანციგი, თებ. 10. ბერლინსა და კენიგსბერგის შუა რკინის გზის მიმოსვლა მოსამსახურეთა გაფიცვის გამო შეჩერებულია.

ფრანგული პრესა

სეკრეტარმა ლანსინგმა ინახულა კლემანსო, რათა ამერიკის ხალხის და საზავო კონფერენციის სახელით მწუხარება გამოეთქვა მასზე თავდასხმის გამო. ამას მიყვება ოფიციალურად მწუხარების გამოთქმა. დაჭრის შემდეგ კლემანსომ იმედი გამოსთქვა, რომ ეს შემთხვევა გადაიქცევა სტიმულად სხვა სახელმწიფო მოღვაწეებისთვის, რომელნიც დაამთავრებენ ყველა დაწყებულ პირობებს. კომისიების მუშაობა არ შეწყდება.

კლემანსოზე თავდასხმის შესახებ შრომის კანონმდებლობის კომისიამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: კომისია გამოსთქვამს თავის ღრმა გულისწყრომას საფრანგეთის პრემიერ-მინისტრზე თავხედურ თავდასხმის გამო და იმედოვნებს, რომ კლემანსო მალე მორჩება“.

„ბორდოს პროტესტის“ ბანკეტი.

თებერვლის 16 სტრასბურგში შესდგა „ბორდოს პროტესტის“ წლის თავის აღსანიშნავად ბანკეტი, რომელიც ყოველ წლიურად იმართება. ბანკეტს დაესწრო 600 ელზასელი და ლორენელი სტუდენტი, კომისარი მარინგერი და ყოფილი დეპუტატი, რომელმაც სიტყვები წარმოსთქვა. ბანკეტზე განაცხადეს, რომ ელზას-ლორენი მარად ერთგული იქნება საფრანგეთისა. მორინგერი ამის გამო გრძნობიერად მიესალმა სტუდენტებს. კლემანსოს შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს: „600 სტუდენტი სალამს უძღვნის ყოფილ სტუდენტს, „ბორდოში პროტესტის განმცხადებელთა“ ცოცხლად დარჩენილ ერთად-ერთ წარმომადგენელს, რომელმაც თავისი უდრეკი ნებისყოფით საფრანგეთი მიიყვანა გამარჯვებამდე, რომელმაც ელზასი სამშობლოს უნდა დაუბრუნოს.

გერმანული პრესა.

ვილსონის სიტყვა და გერმანია.

ვილსონის სიტყვამ ხალხთა ლიგის შესახებ, გერმანიაში ყველას იმედი გაუცრუა. პრესა ხედავს ამაში ვილსონის მიერ თავის პროგრამის უარისყოფას. გერმანიის უფლების უარყოფა ახალშენების მფლობელობაზე თვით ვილსონის მიერ უმზადებს გერმანიას მძიმე სიურპრიზს. ასე მსჯელობდენ აქამდე მხოლოდ ინგლისის სახელმწიფო მოღვაწენი. განიარაღების საკითხმა გერმანული კრიტიკა მთავარ მნიშვნელობას აძლევს ვილსონის განცხადებას, რომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს გეოგრაფიულ მდგომარეობას. 1918 წელში შემოდგომაზე ლოიდ ჯორჯმაც აღნიშნა, რომ გეოგრაფიული მდგომარეობის გამო, გერმანია იძულებული იყო დიდ ძალი ჯარი ყოლოდა. უკანასკნელ ორი საუკუნის განმავლობაში გერმანია წარმოადგენდა საფრანგეთზე თავდაცემის და მისი დაპყრობის ობიექტს. ეხლანდელ ომის გათავების შემდეგ რუსეთის და საფრანგეთის მხრით საშიშროება კიდევ არის, იმ დროს როდესაც გერმანიის მხრიდან საფრანგეთის საშიშროება აღარ შოელის.

გერმანია ხალხთა ლიგაში.

გაზ. „მიუნხენის ახალ ამბებ“-ის ჟენევის თანამშრომელმა კითხა პროფესორ გერონს, გერმანია უნდა შევიდეს თუ არა ხალხთა ლიგაში სრულის უფლებით. ამ კითხვაზე პასუხის მიცემაზე გერონმა უარი განაცხადა.

მღვდ. ტროფ. ჯოხთაბერიძის პროტესტის გამო.

გამოვთქვამ მწუხარებას იმ პროტესტის გამო, რომლითაც პატივცემულ მღ. ტროფიმე ჯოხთაბერიძეს ზუგდიდიდან მიუმართავს შინაგან საქმეთა მინისტრისათვის მიტროპოლიტ ლეონიდის პატრიარქ-კათოლიკოსად არჩევის გამო: მწუხარებას, რადგანაც ბევრმა ისე გაიგო ეს პროტესტი, თითქოს მამა ტროფიმე ლეონიდეზე შურს იძიებდეს ბათუმიდან ზუგდიდში გადაყვანისა გამო და გუშინ, 18 თებერვალს, რამოდენიმე პირმა მომმართა მე, როგორც მ. ტროფიმეს ნაცნობს, თხოვნით განმემარტა, თუ რად იქმნა გადაყვანილი მ. ტროფიმე ქალაქიდან დაბაში ლეონიდეს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ყოფნის დროს,—და განცვიფრებას, რადგანაც ამ დროებით, როცა ანარქია ჯერ კიდევ არ დამცხრალა ასეთი გამოსვლა უხერხული და უტაქტოა. ყოველმა ერმა თუ მღვდელმა თავისი „მე“ გამოფინოს საჯაროდ და მისგან არჩეულ საეპარქიო საბჭოს არ დაემორჩილოს, საეპარქიო საბჭო კიდევ—სრ-დ საქართველოს მიერ არჩეულ საკათალიკოზო საბჭოს და ეს უკანასკნელი კი ყველა საბჭოთა საერთო და თანხმოვან დადგენილებას, მაშინ არამც თუ პატრიარქ-კათოლიკოსს, სოფლის უბრალო მედავითნესაც ვერ ავირჩევთ და გამეფდება ქაოსი, რაც ასე დამღუპველია განსაკუთრებით ჩვენს საეკლესიო საქმეებში.

მე მრწამს მ. ტროფიმეს დამოუკიდებლობა, რომ მან „ჯოჯოხეთის მოციქულების“ ზეგავლენით არ შეაწუხა ბ. მინისტრი, ამ პროტესტს მე ვხსნი მხოლოდ იმით, რომ მ. ტროფიმემ, როგორც პროვინციის მოქალაქემ, როცა კიდევ საეკლესიო ორგანოც არ მოგვეპოვება, არ იცოდა ის განსაკუთრებითი პირობები, რამაც მიტ. ლეონიდეს პატრიარქ-კათოლიკოსად არჩევამ გამოიწვია.

დარწმუნებული ვარ, რომ მამა ტროფიმეს კარგად სცოდნოდა ეს „განსაკუთრებითი პირობები“, ის, როგორც მიუდგომელი მღვდელი-მოქალაქე და პატივცემული საზოგადო მოღვაწე, პირველი უკუაგდებდა არჩევნების ფორმალურ მხარეს და თვით იქადაგებდა. მის პატივმცემელ საზოგადოებაში, რომ ყოველი ქართველი ვალდებულია მოწიწებით ქედი მოიხაროს არჩევნების მომხდარ ფაქტის წინაშე მიტრ. ლეონიდის პატრიარქ-კათოლიკოსად ხელდასხმის შესახებ და რითაც შეუძლია ხელი შეუწყოს საქართველოს ეროვნულ ზეიმს.

ახელი

წერილი რედ. მიმართ

წითელ ჯვართან არსებულ ქალთა კომიტეტმა, რომელიც პატრონობს ჯავახელ ობოლ ბავშთა თავშესაფარს მიიღო შემოწირულება: ალექსანდრა ფაღავასაგან—50 მ.; პაწაწინა მარინე ყაზბეგისაგან—100 მ.; ვასიკო ციციშვილისაგან—30 მ. ხილი და ერთი ხელი ტანისამოსი.; მიხეილ მამულაიშვილისაგან ნ. ნაკაშიძის ხელით 300 მან.; მელანია გველესიანისაგან—ხილი და ტანისამოსი.; კოოპერატივთა კავშირთა კავშირმა—ნუში—1 ფ. თხილი—3 ფ. მარმალადი—20 გ. შაქარი—1 ფ. თეთრი ფქვილი—1 ფ. რვეული—400 ც. ფანქარი—12 დ. მელანი—12 დ. გურიის დამხმარე კომიტეტისაგან—ფქვილი 1 ტომარა.; წერა-კითხვის საზოგადოებისაგან—წიგნები და სხვა და სხვა ნივთები—250 მან.; ქურხულისაგან ყულაბით შეკრებილი—2000 მან.; ქართველ კათოლიკეთა აღმასრულებელ კომიტეტისაგან—736 მან.; ქ. ამირეჯიბისაგან—100 მ.; ალექსანდრე და ეკატერინე მამამთავრიშვილებისაგან—20 მან.

ყველა შემომწირველთ და აგრეთვე განათლების მინისტრს ბ-ნ გ. მ. ლასხიშვილს რომელმაც გადმოსცა თავშესაფარს სამინისტროს კუთვნილი—როიალი საბავშვო ბაღისათვის, კრაოტები, ბალიშები, ლეიბები და სხვა. დიდ მადლობას სწირავს.

თავმჯდ. ნ. ნაკაშიძისა.
მდივანი ნ. გველესიანისა.

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.

მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან

მატარებლები თბილისიდან ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 სამგზავრო ქუთაისამდე.
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 სამგზავრო ბორჯომამდე.
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 საფოსტო ბაქომდე.
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 სამგზავრო განჯამდე:
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

ყარსიხკენ—ერევანში

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

თბილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან—თბილისში.

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 ქუთაისიდან:
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 ბორჯომიდან
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

ბაქოდან

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

ნახიჩევანიდან და ყარსიდან

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

თბილისსა და მცხეთის შუა

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 თბილისიდან დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

მცხეთიდან მოდის

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

ექიმი
ნიკ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ. სისხლის ნაკლებობით, გულის, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.
ელექტრო-ტერაპია
მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.
ზემელის აფთიაქის მახლობლად.
თ.—25—2305

სამკურნალო კაბინეთი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის [illegible]
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი. წითელ ჯვრის რენტგენოლოგის და მიხეილის საავადმყოფოს
ექიმ
ა. ვ. ლევენშტეინისა
იღებს 10 ნახ. 1 საათამდე და 4-იდან 7-ამდე კვირა დღის გარდა. შინაგან და ქალთა ფილტვების სატკივრებისთვის. (სპეციალურად გულის, კუჭის და ქრონიკულ ავადმყოფებს ნერვიულ სისტემის და ქალურ სქესობრივ სფეროში) რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილები რიგს გარეშე მიიღებიან. კრილოვის ქ. სახ. № 5 ბინა № 3. ტელეფონი 12—46.
(თვ. 2075—4.)

მედიცინის ექიმი
ე. ა. მ ო ნ ს ე
ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სადსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13-42.
50—2119—3

წიგნების საკინძ-საკაზმავი სახელოსნო
ვლადიმერ შატბერაშვილისა
13 წლის განმავლობაში პრაქტიკული ცოდნის მიღების შემდეგ გავხსენი საკუთარი სახელოსნო, სადაც ვღებულობ ყოველგვარ საქმეს, რომლებსაც ვასრულებ დაპირებისაძებრ
ზომიერ ფასებში
ვღებულობ კანტორის და ბლანკის წიგნებს, ყდებს, ბროშურებს, სურათებს ჩარჩოებში, სამგლოვიარო ლენტებს და სხ. და სხ საკინძ-საკაზმავ საგნებს.
მისამართი: სასახლის ქუჩა, № 5, მეორე სართულში დრ. მსახიობთა კავშირის გვერდით.
24—114—7 პატივისცემით ვლ. შატბერაშვილი.

ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი
„საქართველო“
1919 წ. წლიწადი მეხუთე 1919 წ.
გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.
მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5,) (ქართული ქარვასლა).
ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 73.
ტელეგრამისთვის: თბილისი, „საქართველო“, ტელეფონი № 15—73.
კონტორა ღიაა დილით 9—3 საათამდე.

სტამბა [illegible], გაბიდაშვილის შესახვევი № 4.